



La Géorgie
 Indépendante
 Revue mensuelle
 JUIN
 1931—N° 66

ო ვ ნ ი ს ი
 1931 წ.
 № 66

საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ბ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—ეკონომიური ინტერვენცია და რუსები
 კარლო ჩხეიძის ხუთი წლისთავისათვის.
 ნ. რამიშვილის დაღუპვის ექვსი თვის თავი.
 ქაქ. ჩოლოყაშვილის გარდაცვალების წლისთავი.
 ვვ. გუგუშვილი—ბოლშევიკების ახალი სენონი.

—ლი—გ.—საქართველო ციფრებით.
 ვაჟი—მოსკოვი წინეთ და ენლა.
 26 მაისი უცხოეთში.
 უცხოეთის მიმოხილვა.
 ბიზანტიური ხელოვნების გამოფენა და სხვ.

ეკონომიური ინტერვენცია და რუსები

საქართველოს ელჩის ნოტამ. ევროპის კავშირის შემსწავლ კომისიის თავმჯდომარე ბრიანისთვის გადაცემულმა, მითქმა-მოთქმა გამოიწვია რუს ემიგრანტულ წრეებში, და შემარჯვენე ფრთის «გოზრო-უდენიემ» მეთაურიც კი უძღვნა მას.

პირველი, რაშიდაც არ ტყდებიან, მაგრამ რაც თვალში ხვდება ყველა დაკვირვებულს. არის მათი უნებური სინანული, თუ გნებავთ, გონს მოსვლა, რომ ამდენი წელი ძილში გაატარეს და დღესაც ვერ არიან მიხვდარნი, რა დიდ დანაშაულს ჩადიან ისინი თავის, რუსის ერის წინაშე, როცა ევროპა-ამერიკის მიერ წარმოებულ დამღუპველ ეკონომიურ ინტერვენციას ასე უმოქმედოთ და ფატალისტურათ შესცქერაინ.

«გოზროუდენიეს» მეთაური თითქმის ვერაა კმაყოფილი, რომ საქართველოს ელჩი უსწრებს მის თანამემამულეთ და აყენებს საერთაშორისო სამსჯავროს წინაშე ყველაზე მწვავე და ტრალიკულ კითხვას რუს და არარუს ერთა შესახებ. ის თავს იკატუნებს, ჩვენც ხომ მუდამ ამას ვჩივდითო, მაგრამ ვერ არჩვენ ჩივილს მოქმედებისგან—აი რაა მთავარი. აბა სთქვან, სად და როდის დააყენეს მათ კითხვა? ყოფილან ენე-ვაში, ცდილან ოდესმე შებრძოლებოდენ საბჭოთა დელეგატებს? გამოიყენეს ერთხელ მაინც ერთა ლიგა, მისი საბჭო, წლიური ყრილობები?

არა, რა თქმა უნდა. და ამის მიზეზი ისაა, რომ, თუ გაგსჯვრეტო მათი დურბინდით, რუსის ერი არ არსებობს, როგორც არ არსებობდა 1917 წ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რუსის ერი იქმნება, ყალიბდება ლენინ-ტროცკი-სტალინის ქუსლის ქვეშ; «სოციალისტური» ექსპერიმენტი, რაიცა ჩამორჩენილ ქვეყნისათვის ნამდვილ ვანდალიზმად უნდა ქცეულიყო, რამაც უფსკრულის კიდემდე მიიყვანა 160

მილიონი სული, იწვევს ხალხში ისეთ მძლავრ ფსიქოლოგიურ გარდატენას, რომ დაუჯერებელია, ამას სათანადო შედეგიც არ მოჰყვებს: რუსის ერის დაბადება, ასაკში შესვლა, უკეთესი მომავალი. ამრიგათ, დაწყებული ივანე მრისხანეთი, გაგრძელებული პეტრე დიდით და გათავებული სტალინით, რუსის ერი გარდაქმნის პროცესშია და, ასე ვთქვათ, სოციალოგიური რკინის კანონით, ის განვლის, ან უკეთ—უნდა განვლოს სამი საფეხური: ტომი—რასა, საზოგადოება—ხალხი, ერი—სახელმწიფო.

ამასვე ვერ ვიტყვი. სამწუხაროთ, რუს ემიგრაციაზე, ის იმავ 1917 წლის საფეხურზედ სდგას! საშინელი, გაუგონარი ისტორიული ურო, რომელიც 13 წლის გასწვრივ თავში ურტყამს მას, თითქმის შეუმჩნეველი რჩება, არაფერი გამოცვლილა, იგივე ინტელიგენტური წაჯექ-უკუჯექობა, შუღლი, ბრძოლა. მერმე, რისთვის სცხოვრობენ ევროპაში, რას სწავლობენ? განა ვერ ხედვენ სხვადასხვა პარტიათა ბლოკს, კოალიციას, სხვადასხვა სახელმწიფოში, საერთო ეროვნულ განსაცდელის დროს? რომელი განსაცდელი შეედრება საბჭოთა კავშირის ერთა განსაცდელს?

ჩვენ გვახსოვს კადეტთა პარტიის დაბრმავება 1917 წ., როცა ის ასე უგულვოთ და ზერელეთ თანამშრომლობდა სოციალისტებთან და ბევრ მის მეთაურს უხაროდა კიდევ დროებითი მთავრობის დამხობა. სოციალისტებსაც მიუძღვით, რა თქმა უნდა, დანაშაული, რომ ქვეყნის გამყიდველთ, ლენინს და კომპანიას, ეკრძალებოდენ. ნუ თუ ეს გაკვეთილი და ევროპის მავალითები საკმაო არაა, რომ რუს ემიგრაციაში შეიგნოს საერთო ეროვნულ ფრონტის მნიშვნელობა?

არა, ისინი არ არიან ამისათვის მომწიფებულნი,

ვიტყვოდი—არ არიან მოქალაქენი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. რამ წააქცია თებერვალი? რამ გაამარჯვებინა ოქტომბერს? იმან, რომ რუსის ხალხი არ გრძობდა თავს მოქალაქედ, ერთც და სახელმწიფოც უცხო ხილი იყო მისთვის, იდგა მათ გარეშე, ან კიდევ... ებრძოდა მათ.

მაგრამ ერთში კი არიან გაერთიანებულნი რუს ემიგრაციის ყველა ფრთები—ეს, როცა საქმე საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ არარუს ერებზე მიდგება. «ვოზროუდენიეს» მეთაური აღნიშნავს რუს და არარუს ერთა მხარდამხარ ბრძოლის აუცილებლობას საერთო მტრის წინააღმდეგ, და იმავე დროს განზე გადადებს «რუსეთის განაპირა ქვეყნების მტკინვალე კითხვას». მილიუკოვის, კერენსკის და დანის პრესა უფრო თამამია ამ მხრივ და პირწავარდნილათ ებრძვის არარუს ერთა დამოუკიდებლობას.

შევიძლიათ სთქვათ, რომ ამ ხალხმა რამე ისწავლა თუგინდ რუსეთის რევოლიუციისაგან? ისინი ისევ ძველი იმპერიის ბურჟუაზიაში არიან გახვეულინი, ვერ შეიგნეს უბრალო ბოლშევიკური ესტიცი: კავშირი რუსეთის მავიერ, თვითგამორკვევა თვითგამოყოფადი. ვინ არ იცის, რომ ბოლშევიკები თაღლითობენ, მაგრამ ეს მხოლოდ მაჩვენებელია— ისინიც იძულებულნი გახდნენ ანგარიში გაეწიათ დროის მოთხოვნილებისათვის.

რუსის ემიგრაცია არც დროს და არც ადგილს უწყევს ანგარიშს, მისი ნაციონალიზმი ავთმყოფურია. რა ხართ, რა იყავით ან რა იქნებოდით, რუსეთი რომ არ მოგვლენოდათ მსხნელად და მცველად—აი რენით ესაუბრება ის არარუს ერებს, და ლამის მთელი მათი კულტურა და განვითარება ორ-თავიან არწივს მიაწერს!

თქვენ ვერ დაარწმუნებთ, პირიქით—გააბრაზებთ, რუს ემიგრანტების მეთაურებს, თუ უთხარით, მაგ., რომ პატარა ქართველი ერი დიდი რუსის ერზე უმფროსია ხნოვანებით, გამოცდილებით, კულტურით, მანასადაამე, ცოტა რამ მისგანაც შეუძლიათ ისწავლონ.

რას გაუხვავა ხაზი საქართველოს ელჩმა თავის ნოტაში? იმას, რომ ევროპა-ამერიკის ქვეყნები, შვე-

ლიან რა სტალინის მთავრობას საქონლით, იარაღით, ტექნიკოსებით და კრედიტით, ახანგრძლივებენ საშინელ რეჟიმს და მით ხელს უწყობენ ყველა ერთა სრულს დამონავებას. ეს ნათლად გამოსუვივოდა ლიტვინოვის ფლიდი მტკიცებიდან კაპიტალისტურ და «სოციალისტურ» სისტემათა პარამონიულ თანამშრომლობაზე. კიდევ მეტი, თუ ეს დახმარება არა, საბჭოთა რეჟიმი აქამდე ისტორიას ჩაბარდებოდა.

მეორეს მხრით, ნოტაში წამოყენებული იყო ყველასათვის უდაო დებულება, რომ ხუთწლედს საჩუღლად უდევს საბჭოთა კავშირის შეიარაღების უმაღლეს წერტილამდე აყვანა, რაიცა თითქო არ შედიოდა გარეშე დამხმარეთა ანგარიშში. დახეთ ამ ვერავ დემაგოგიას: მოსკოვი ყველას უკითინებს სამხედრო ინტერვენციის განხრახვებს, ხოლო სიამოვნებით იღებს ეკონომიურ ინტერვენციას!

კითხვის ასე დასმა თითქო ერთგვარ ჩიღს სდებდა ევროპა-ამერიკის და საბჭოთა კავშირის ერთა შორის, უთითებდა მათ საერთო ინტერესებზე, ან უკეთ—საერთო საშიშროებაზე, და ეს ყველამ ასე გაიგო ექნევაში. ამ ნიადაგზე დიხაც შეიძლებოდა და ძალიან სასარგებლოც იქნებოდა უცხოეთში მყოფ რუს და არარუს მოღვაწეთა პარალელური მუშაობა.—მე არ ვამბობ თანამშრომლობა, რადგან რუსები არ სცნობენ არარუსების ეროვნულ უფლებას!

არარუსნი მოღვაწენი უნდა დაეყრდნონ ისევ მდგომარეობის განვითარებას საბჭოთა კავშირში და მის გადაღმა. მათი გეზი მიმართულია იქითკენ, რომ აჩვენონ, ერთის მხრით, ევროპა-ამერიკას, რამდენათ სახიფათოა მათთვის მოსკოვის თამაში დღეს ერთ სახელმწიფოსთან, ხვალ მეორესთან, და, მეორეს მხრით, თვით რუსის ერს ადგილობრივ, რომ მისი და არარუს ერთა სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს საერთო ძალით საერთო მტრის მიწახედ დანარცხებას და მისგან ამართულ «პირამიდების» ნაცვლათ თავისუფალ, დამოუკიდებელ ერთა რესპუბლიკებებს აღდგენას და მათ შორის გულწრფელ მეგობრობას.

კარლო ჩხეიძის ხუთი წლისთავისათვის *)

აი ხუთი წელიც მას შემდეგ, რაც ჩვენი კარლო ასე ტრალიკულად გავგვშორდა და ისტორიის სიმშვიდეს და აუღელვებლობას შეაფარა თავი.

აი ხუთი წელი, რაც კარლოს ნეშტი განუზომელი გულისტკივილით მივებარეთ უცხოეთის ამ მიწას.

ხუთი წელი ხომ საკმარისი დრო იყო თუნდაც ამოდენა მოღვაწის ვეებერთელა ამაგის დასაფასებლათ, მისი დიდი საქმეებისათვის ჯამის გამოსაყვა-

ნათ, მისთვის ხელქმნილი ძეგლის დასადგამათ. და თუ არაფერი გაკეთებულა ამის მსგავსი, თუ კარლო თითქოს მივიწყებული დავტოვეთ ამ პერლამუზის სასაფლაოზე ათიათას და ათიათას უცხო საფლაოთა შორის, განა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ის მართლაც დავივიწყეთ, რომ ჩვენ მის ამაგს შესაფერისად არ ვაფასებთ, რომ მისთვის ხელქმნილი ძეგლის აგება ჩვენ სავალდებულოთ არ მიგვჩინია?! რა თქმა უნდა არა. ეს მოხდა, ყველამ კარგად უწყით, მხოლოდ იმიტომ, რომ გრძელდება ის დიდი ტანჯვა და ის მძიმე ბრძოლა, რომელიც კარლოს მშობელ ერს არ აძლევს მოცალეებას უკან მოიხედოს, წარსულზე თუნდაც ერთი წუთით შეჩერდეს; ის იძულებულია გამუდმე-

*) სიტყვა, წარმოთქმული დ. შარაშიძის მიერ 21 ივნისს, კარლოს საფლაოზე, მისი გარდაცვალების 5 წლის თავის აღსანიშნავად შეკრებილ ქართველობის წინაშე.



ბით, ყოველ დღე და ყოველ წუთს, მთელი თავისი გონება და გრძნობა მომავალს მიაპყროს, მხოლოდ წინ იტკირას, სანამ არ მოუპოვებია გამარჯვება, ურთმლისოდაც არ არის ეროვნული ცხოვრება. სანამ ეს არ აღსრულებულა, მებრძოლი საქართველო იძულებულია გულში ატაროს კარლს წარუვალ საქმეთა ხელთუქმნელი ძეგლი, ხოლო ჩვენ, პარიზში მყოფ მის თანამემამულეებს, დაგვრჩენია მოვებრუნდეთ დროგამოშვებით აქ და შევეცადოთ აღვადგინოთ ჩვენს ხსოვნაში ჩვენი ნაზი, უმწიკვლო და უებრო კარლო, რომელიც თავისი მაღალი ზნეობის სხივებით ასე გვათბობდა და გვაკეთილშობილებდა მის ახლობელთ, რომელიც იმოდენა ნიჭით და მჭერმეტყველობით ესარჩლებოდა ყველა ჩაგრულთ და გაჭირვებულთ, რომელმაც ასე შორს გაიტანა და ქვეყანას მოფინა თავისი ერის სახელი.

როცა კარლოს, როგორც მოღვაწის, მთავარი დამახასიათებელი თვისების გამორჩევა გინდა, მე მგონი რომ ამას დაინახავ უცილობლივ იმ იშვიათად სრულს პარმონიაში, რომლითაც მასში შეზავებული იყო ადამიანი და საზოგადო. პოლიტიკური მოღვაწე. უკანასკნელი ოდნავადაც ვერ აყენებდა ჩრდილს პირველს და, რაც კიდევ უფრო განსაცვიფრებელია, კარლოს მაღალი ზნეობრივი თვისებები სრულიადაც ვერ ბოჭავდენ პოლიტიკური მოღვაწე — კარლოს. პირიქით, მისი იშვიათი, თითქმის ავადმყოფური მორალური პასუხისმგებლობის გრძობა და მორალური სიფაქიხე ავისკარგვებდა და აკეთილშობილებდა მის იშვიათ ნიჭს და მჭრელ გონებას. ამ ორ დიდ სამკაულმა მისცა მას შეძლება, ასე სასახელოთ შეესრულებია მისი ერის მიერ მისთვის მინდობილი წარმომადგენლობა, მისცა მას შეძლება აგრეთვე პარტიულ მოღვაწიდან გამხდარიყო უაღრესად ეროვნული მოღვაწე.

გზა მისი ცხოვრების, უკანასკნელ წლებამდე, დაფინთა და დიდებით იყო მოფენილი, თუმცა ის თავისი ბუნებით არც სახელის მამიდებელი, არც პატივმოყვარეობის მწყურვალე ყოფილა. მორცხვი და მორიდებული ბათუმელი მასწავლებელი, უდიდეს იმპერიის საქვეყნო ტრიბუნაზე წარგზავნილი, მალე გამოაშკარავდა როგორც უსაშინელესი მტერი ძალმომრეობისა, სრულიად ორიგინალური ნიჭის პოლიტიკური ორატორი, იმ მჭრელი, ბასრი იუმორის პატრონი, რომელსაც ფრანგები მომავალდინებელს უწოდებენ; ის შეიქნა ამავე დროს საუცხოვო ხელმძღვანელი საიმპერიო წარმომადგენლობის ერთ-ერთ პოლიტიკურ ჯგუფისა. რუსეთის იმპერატორის ტახტის დამხობაში კარლოს ისტორია უპირველეს როლს მიაკუთვნებს. სრულიად ბუნებრივი იყო, რომ მას იმპერიის ასპარეზზე ახლად გამოსულ ძალების ხელმძღვანელობა ხვდა. აქაც მისი მაღალი ზნეობრივი პიროვნება, მისი გამჭურაბი გონება შინაურის და უცხოის პატივისცემასა და სიმპატიას იპყრობდა. შეიძლებოდა გვიფიქვრა, რომ მისი მამინდელი და მის წინა მოღვაწეობა საიმპერიო მასშტაბით არ იყო ეროვნული. მაგრამ მე მგონი შემდეგ შექმნილმა პირობებმა საკმარისად ცხადჰყო, რომ

მისი რუსეთში მოღვაწეობა უგროვებდა მის ერს იმ ძვირფას კაპიტალს, რომლის განაღდება უდიდესი სამსახური გაუწია საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე. ჯერ კიდევ ოქტომბრის კატასტროფის წინ მიაშურა კარლომ თავის ქვეყანას. ახლად აღორძინებულმა ქართულმა სახელმწიფომ მას უდაოთ, შეიძლება ითქვას — ერთხმად არგუნა ორი უდიდესი პოსტი: რესპუბლიკის დელეგაციის ხელმძღვანელობა ევროპაში ქართულ სახელმწიფოსათვის საერთაშორისო სტატუტის მოსაპოვებლათ და პარლამენტისა და დამფუძნებელ კრების თავმჯდომარეობა. აქ მყოფთა უმრავლესობას ახსოვს რა დიდის ღირსებით ასრულებდა კარლო ორთავე ამ დიდ დაკისრებას. ეს უნდა ითქვას აშკარად: შეიძლება ჩვენს ერს კარლოზე უფრო დიდი მოღვაწეებიც ჰყავდეს, მაგრამ არც ერთის სიტყვას არ ექნებოდა ისეთი ფასი და გავლენა უცხოეთში ჩვენი საქმისათვის, როგორიც ჰქონდა კარლოს სიტყვას. რაც შეეხება მის თავმჯდომარეობას, აქ ხომ მას ჩვენ შორის ბადალი არა ჰყავდა, არა თუ მისებრ არავის შეეძლო უძნელეს სწდომის ჩატარება, პოლიტიკურ ვნებათა ღელვის დაცხრობა, არამედ აგრეთვე მისებრ არავის შეეძლო ჩვენი ერის კრიტიკულ მომენტში გამოენახა დროის შესაფერი გამამხნეველებელი სიტყვები. გახსოვთ, როცა ჩვენს პორიონტზე უკვე გამოჩენილ, მსოფლიო ომში გამარჯვებულ მოკავშირეების წინაშე ჩვენი თავისუფლების მტრები სიხერულს ეძლეოდენ და ჩვენს ხალხში მომავლის იჭვი და უნდობლობა შეჰქონდათ, გახსოვთ მისი «ჩვენ არავისი არც გვრცხვენინან, არც გვეშინიან!» — ეს და სხვა მრავალი მისი სიტყვები, ჩვენი ერის სულისკვეთების და ღირსების ასე სწორად გამომხატველი ამა თუ იმ კრიტიკულ მომენტში, სამარადისოთ დარჩება ხალხის მეხსიერებაში.

დატრიალდა ჩვენი ტრადედია, ის გახდა პირადი ტრადედია კარლოსი. საქართველოდან მან გამოიტანა თავისი გულში უკუტრუნებელი იარა, რომელმაც ის იმხსვერპლა კიდევ...

ამ ხუთი წლის წინათ მისი ცხედრის წინაშე ფიცი დავდევით, რომ ეს მისი საფლავი დროებითი იქნებოდა, რომ ის ერთ დღეს მშობლურ მიწას მიებარებოდა. ეს ჯერ ვერ მოხდა, რადგან ეს ხუთი წელიც გამოდგა საქართველოს ტანჯვის და ბორკილების გამგრძელებელი. მაგრამ ამას ოდნავადაც არ შეუწყვიდა ჩვენს მიერ კარლოსათვის მიცემული ფიცი, რადგან, როგორც თვით კარლო სწერდა ერთ-ერთ წერილში მისი სიკვდილის რამოდენიმე დღის წინ, ქართველი «ხალხის ძალა მძიმდისათვის დაუმრეტელია, საქართველო დაბოლდხავ იქნება უნდა გასდეს თავისუფალი და დამღუკიდებელი».

აი ამ კარლოს მიერ ნაანდერძევი მტკიცე რწმენით მოვდივართ და ვივლით ჩვენ აქ, სანამ არ აღსრულდება მისი სიტყვები და ბორკილ აყრილი საქართველო პატივისცა და დიდებით არ მიისვენებს თავის დიდის და ღირსეული შვილის ნაშთებს სხვა ძვირფას ქართულ საფლავთა შორის იქ, კარლოს სამშობლოში.

ნოე რამიშვილის ღალატის მძვინვარება

ექვსმა თვემ განვლო მას შემდეგ, რაც ქართველი ემიგრაციის ოჯახის ყოველად უღირსმა და მახინჯმა შვილმა, ქართველი ერის მტრებისა და ჯალათების ჩაგონებით, ტყვიით გაუგმირა გული მშობელ ერის თავისუფლების სადარაჯოზე უდრეკათ მდგომ ნოე რამიშვილს.

შუუპოვარი მებრძოლის დაფასება, მისი დამსახურებათა სრული სიის შედგენა და ნასაქმის ყოველმხრივი გაშუქება ისტორიის საქმეს შეადგენს და უეჭვოა, რომ განმანათავისუფლებელ ბრძოლის მომავალი ისტორიკოსი საპატიო ადგილს მიუჩნევს ნ. რამიშვილსაც. ჩვენ კი—მის თანამედროვეთ და თანამებრძოლთ, ვალად გვადევს განვაგრძოთ ის საშვილიშვილო საქმე, რომელსაც თავდადებით ემსახურებოდა განსვენებული.

უღრესათ აღმამფოთებელ მკვლევობის სულის ჩამდგმელს იმედი ქონდა, რომ მის მიერ გასროლილი ტყვია ნ. რამიშვილთან ერთად ჩაკლავდა ქართველი ერის განმათავისუფლებელ ბრძოლასაც, მაგრამ იგი სსტიკად მოტყუდა. თქმა არ უნდა, რომ ისეთი აღფრთოვანებული და ბრძოლის უდრეკი მეთაურის ფიზიკური მოსპობა, როგორც იყო ნ. რამიშვილი, განუზომელად დიდი დანაკლისია საქმისთვის. მოკლეს ის, ვინც არა მარტო თვითონ იყო მუდამ მხნე და იმედით სავსე, სულით ძლიერი და რწმენით ურყევი, არამედ სხვებსაც მხნეობის, იმედის და სიმტკიცის აიხზმას უხვად აძკურებდა. საკმარისი იყო მასთან რამდენიმე წუთის დაყოფა. მისი იმედიანი საუბრის მოსმენა, რომ აღამიანს, რაზმს სასოწარკვეთილი და სულიერათ მოღლილ-მოქანცული არ ყოფილიყო იგი, კვლავ იმედების ცისკარი გაეხსნებოდა და ბრძოლის წყურვილი კვლავ შეიპყრობდა მთელ მის არსებას.

თვითონ ნ. რამიშვილმა არც კი იცოდა, თუ რა იყო დალა, სულით დაცემა და სასოწარკვეთილებას მიცემა; იგი იყო დაულალავი ენერგიისა და მუდმივი მოქმედების წყარო. მხნე და გაბედულმა სარ-

დალმა იცოდა მებრძოლ რაზმების გატაცება და საგმირო საქმეზე წყევანა. და ამიტომ იყო მტრისთვის «ღვთის წყრომა», საშიში და მეტად საძულველი. მტერმაც სწორედ ამიტომ ამოიღო ის მიხანში.

ქართველ ერის დაუნდობელ ჯალათებს ეგონათ, რომ ნ. რამიშვილის მოკვლით. ამ დიდი მეთაურის ფიზიკურათ მოსპობით არევე-დარევას შეიტანდენ მებრძოლთა მტკიცე რიგებში, იმედსა და მხნეობას გამოსტაცებდენ მრავალტანჯულ დედა სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს და ბრძოლის ველიდან უკუაქცევდენ. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გაცრუვდა იმედები მკვლელთა და ავანჯათა. ყოველი რაზმელი თავისუფლების ჯარისა თავის სადარაჯოზე დარჩა, ბრძოლის ფრონტი მტკიცე და ურყევი.

მებრძოლ ერს, რომელსაც სიცოცხლის დაუმრეტელი ენერგია შესწევს და მტკიცე ნებისყოფა აქვს, მეთაურები არ გამოვლენ: ერთს მეორე შესცვლის, მეორეს მესამე და ასე ბოლომდე, საბოლოო გამარჯვებამდე. ქართველმა ერმა იცის ბრძოლაც და გამარჯვებაც. მის ურყევ მისწრაფებას თავისუფალ სამშობლოს აღდგენისადმი ვერ მოკლავს მტრის ბოროტი ხელით გამოსროლილი ტყვია.

ნანადრევა მახინჯ ქანაცაძეების სიხარული, წუთიერია ქართველ ერის ჯალათთა ზეიმი... მართალია მათ გულში ერთი წუთით ვარდი გაიშალა, მაგრამ... არა არს ვარდი უეკლოთ. ბოროტ გულში გაშლილ ნ. რამიშვილის სისხლით შეწითლებულ ვარდს თან ახლავს ეკალი საშიში ყველა მახინჯთა და ბოროტთათვის. ამ ეკალში უხვად არის ჩაპკურებული ქართველი ერის უკვდავებისა და თავისუფლების მტკიცე ნებისყოფა. მითი დაჩხვლეტილი მტრის გული იშხამება და იწამლება აღსასრულის მოახლოების ვანცდით. ხოლო თავისუფლებისათვის მებრძოლთა მწყობრ გუნდებს სიცოცხლის ენერგიას მატებს და ბრძოლის ენერგიას უასკეცებს.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის გარდაცვალების წლისთავი

ამ თვის 26 შესრულდა ერთი წელიწადი, რაც ასე უდროოთ გარდაიცვალა ქაქუცა ჩოლოყაშვილი—ეს ქეშმარიტად რაინდი საქართველოს თავისუფლებისა. მისი გმირული ბრძოლა რამდენიმე წლის განმავლობაში სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის არ შეიძლება დაეაყენოთ გარეშე ჩვენს საერთო განმათავისუფლებელ მუშაობისა—არა, იგი განუკვეთელი ნაწილი მისი. განსვენებული მებრძოლი თვითონაც ასე უყურებდა თავის საქმეს და თუმცა პარტიული ადამიანი არ იყო, მაგრამ თავის მოქმედებას ყოველთვის უკავშირებდა თავის ქვეყნის პოლიტიკურ ძალთა საერთო ხაზს.

მის მოღვაწეობას ახასიათებს მისი პიროვნების მაღალი კეთილშობილობა. იგი თითქოს განასახიერებდა თავის არსებაში ძველსა და ახალს ქართველს. მასში ვხედავდით აღდგენილს ქართველი ერის იმ

უძვირფასეს თვისებას. რომლის მეოხებით მან დაახწია თავი ათასგვარ განსაცდელს და დღემდის შეინარჩუნა არსებობა. ეს იყო ქაქუცას ღრმა მამულიშვილობა, განუხანგრებელი სიყვარული სამშობლოსი და მისი დასახვეა ცხოვრების ხელმძღვანელობად.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხოვრება, მისი ბრძოლები ერთი უმშვენიერეს ფურცელთაგანია ახალი საქართველოს ისტორიის, მუდამ მომხიბლავი და მიმზიდავი, და მისი სახელი ღირსეულად იქნება აღბეჭდილი ყოველი ქართველის გულში.

ჩვენ აქ ვბეჭდავთ ერთი უცხოელის მოხსენებას ქ. ჩოლოყაშვილის მოქმედების შესახებ 1922 წელს. ეს უცხოელი იმ დროს საქართველოში იყო და კარგად იცნობდა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას.

«მიმდინარე (1922) წლის აგვისტოს დამლევს სა-



ქართველოში, დუშეთისა და კახეთის რაიონებში, გაჩნდნენ აჯანყებულთა რაზმები, რომლებიც შეიკრებოდნენ სოფლებში და ანადგურებდნენ ბოლშევიკებს. ყოველ რაზმს წინ უძღვოდა ქართული ეროვნული დროშა. ყველაზე ძლიერი ამ რაზმებში იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმი, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა ბოლშევიკებს. ჩოლოყაშვილი ძველი ოფიცერი და საქართველოს დამოუკიდებლობის დროს კომანდრობდა გვარდიის კავალერიის ერთს დივიზიონს. მისი რაზმი შეიცავდა 200 ცხენოსანს და რამდენსამე ასეულს ფეხოსანს, კარგად შეიარაღებულებს. მას ხალხი ძლიერ თანაუგრძობდა და მხარს უჭერდა. ჩოლოყაშვილის ხელქვეით იყვნენ გვერდწითელის რაზმი—ორმოცდაათი ცხენოსანი და ამდენივე ქვეითი, ლომაურის რაზმი—ორმოცდაათი კაცი და სხვა მცირე ნაწილები. მათ არ ჰქონდათ ზარბაზნები, მაგრამ შეიარაღებულნი იყვნენ ტყვიისფრქვევლებით.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამოსვლათა შორის ყველაზე უფრო საყურადღებოა: მიმდინარე წლის სექტემბრის დამდეგს ქაქუცამ შეიტყო, რომ წილკანში მივიდა კომუნისტების რაზმი (50-მდე კაცი) სერგოს პარტიზანთა მოსასპობად; მაშინვე გაგზავნა თავის რაზმის ნაწილი, რომელიც მოულოდნელად თავს დაესხა ბოლშევიკებს და ზოგი დახოცა და ზოგი დაატყვევა. ამავე დროს ბოლშევიკების აგენტები მოსულიყვნენ მეზობელ სოფელში გადასახადების ასაკრეფად. სოფლებზე რამ გაიგეს, ჩოლოყაშვილი ახლოს აიხსო, ბოლშევიკებს იარაღით წინააღმდეგობა გაუწიეს. ბრძოლის დროს გვერდწითელის რაზმი დაეცა კომუნისტებს და ერთიან გაანადგურა. მაშინ ჩოლოყაშვილის წინამძღვრ კურსანტები—სამხედრო სასწავლებლის მოწაფეები—გაგზავნეს, ორასი კაცი ტყვიისფრქვევლებით. ესენი შეხვდნენ ქაქუცას რაზმს ანაუროსთან, საქართველოს სამხედრო გზაზე. გაიმართა ბრძოლა და კურსანტები დამარცხდნენ. ამის წინ ტფილისიდან გაგზავნილი მილიციაც დამარცხდა და მისი წინამძღოლი მძიმედ იქნა დაჭრილი.

ამ ამბების გამო ჩოლოყაშვილის წინამძღვრ გაგ-

ზავნეს აგრეწოდებული «საქართველოს მსროლელთა პირველი რაზმი». მაგრამ მისი ნაწილი გაიქცა, ნაწილიც ქაქუცას მიემხრო.

კურსანტებთან ბრძოლის დროს ჩოლოყაშვილს დაეკარგა 50-მდე კაცი, მოკლული თუ დაჭრილი. ამ გამარჯვების შემდეგ პარტიზანთა რიცხვი გაიზარდა, სხვათა შორის ქაქუცასთან მივიდნენ ჩიჩნები და ინგუშები და თან მრავალი ცხენიც მიიყვანეს. ჩოლოყაშვილმა ადვილად გაფანტა ახალგაზდა კომუნისტების რაზმი.

ჩოლოყაშვილი მივიდა დუშეთში. მოიწვია ხალხის კრება, განუმარტა საქართველოს მდგომარეობა და მოუწოდა საბრძოლველად კომუნისტების წინააღმდეგ. ხალხმა დახმარება აღუთქვა.

ამ დროს გორის რაიონში გაჩნდა ხუციშვილის პარტიზანთა რაზმი, ორმოცდაათი ქვეითი და ცხენოსანი, ყოფილი გვარდიელები. ბოლშევიკებს შეეშინდათ აჯანყებამ ფართო ხასიათი არ მიიღო, და გაამხადეს დიდი ჯარი სამთო არტილერიით, ტყვიისფრქვევლებით, ჯავშნიანი ავტომობილებით და მატარებლებით და ხელმძღვანელად დანიშნეს ძველი გენერალი სვეჩინი, ხოლო უკანასკნელის შტაბის უფროსად გენერალი მუსხელიშვილი.

ბოლშევიკები რომ ამ მზადებაში იყვნენ, ქაქუცა ჩოლოყაშვილი დაეცა მცხეთას, დაატყვევა ხელმძღვანელი კომუნისტები და აქედან ნატანტართან შეიპყრო ბოლშევიკების ავტომობილი წითელარმიელებით, ექიმითა და წამლებით. იარაღი და წამალი წაართვა, ოთხი წითელარმიელი ტყვედ წაიყვანა, დანარჩენები კი გაუშვა. ხოლო რა დანიანა, რომ საწინამძღვრთ გამოგზავნილ დიდს ჯარს ვერ გაუმკლავდებოდა, დუშეთი და ანაურო დასტოვა და მთებში გაიხიზნა.

ამ ეპოქად ჩოლოყაშვილის რაზმები პატარა-პატარა ჯგუფებად მოქმედებენ საქართველოს სხვადასხვა ადგილებში, ბოლშევიკები კი აცხადებენ, ჩოლოყაშვილი და მისი პარტიზანები სრულიად მოვსპეთ. ჩუკამ დაატუსაღა ოცი კაცი და დახვრიტა—ჩოლოყაშვილის ბანდიტები არიანო... 1922 წ.

ბოლშევიკების ახალი სეზონი

თუმცა საბჭოთა რუსეთს და საფრანგეთს შორის მოლაპარაკება დიპლომატიურ კულისებს არ გასცილებია, მაგრამ, ეტყობა, რომ ამ ექვსი წლის წინ დაწყებული და ოთხი წლით მიძინებულ საქმის განახლება, სერიოზულათ აქვთ განზრახული. ეს იქიდანაც სჩანს, რომ საფრანგეთის ელჩი მოსკოვში სამსახურიდან ვადადგა. ახალი ხაზი, ახალი ხალხი, ეს ლოდიკურია. გაზეთები ერბერტის შემცვლელ პირსაც ასახელებენ. ეს დეტალია, დეტალი, ფრიალ და მახასიათებელი, მაგრამ მაინც დეტალი და ამიტომ ამაზე არაას ვიტყვით. ჩვენთვის, ქართველებისათვის, დიდათ მნიშვნელოვანია საქმის არსებითი მხარე და აქ კი პირდაპირი ჩვენი ვალაი მდგომარეობაში ვა-

ვერკვიოთ საცხები და სწორათ დავაფასოთ იგი. ვარკვეულობა ხომ უძლიერესი იარაღია ბრძოლაში; მხოლოდ მას შეუძლია გვიხსნას გადაჭარბებულ რატიმიზმისაგან, ისე როგორც უკიდურეს პესიმიზმისაგან, ეს უკანასკნელი კი ახლოს მეზობლობს სასოწარკვეთილებასთან.

ვინ და რატომ გამოადვიდა ეს მიძინებული საქმე? თუ ამ საქმის ფეხზე დაყენება შესძლეს, რა შედეგი ექნება ამას საერთაშორისო მდგომარეობაზე?

აი ის საკითხები, რომელთაც ჩვენ შეძლებისდაგვარათ გვინდა ვუპასუხოთ.

არავინათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ფრანგ ვაჭარ-მრეწველთა წრეებში არსებობდა



ე. წ. «ამკვრელთა» ჯგუფი. ეს უკანასკნელი დღიდან საფრანგეთ-რუსეთის კომიტეტის მუშაობის შეწყვეტისა ცდილობდა ამ კომიტეტის მუშაობის განახლებას. ჩვენ არ უნდა გადავადგინოთ ამ ჯგუფის მნიშვნელობა, მაგრამ შეცდომა იქნებოდა, რომ ეს მნიშვნელობა დაგვემცირებინა. ჯგუფს ვერ ჩავთვლით საფრანგეთის მრეწველობის და ფინანსების წარმომადგენლათ, შესაძლოა ისიც, რომ ჯგუფის უმრავლესობას ამ სფეროსთან ორგანული კავშირიც არ ქონდეს; მაგრამ იგი მუდამ ამ სფეროების ირგლივ ტრიალებს და სწორედ ეს სფეროებია წყარო მისი კეთილდღეობისა; დღევანდელ საერთო დებარების და არე-დარევის ხანაში, როცა ბურჟუაზიულ კლასებს დაჰკარგეს გასული საუკუნის ტრადიციები, როცა ისინი ვერ იჩენენ შესაფერ ინიციატივას და კვლავინდებურად თავზე კი არ ესხმიან მოწინააღმდეგეს, არამედ უფრო თავს იცავენ და აქაც დაბნეულობის სურათს იძლევიან, ეს ჯგუფი, დროებით გამორჩენის სურვილით აღზნებული, ენერგიულათ «საქმიანობს». მას აქვს თავისი პრესა, ყავს საკუთარი (და არა უკანასკნელი ხარისხის) მოღვაწეები და იქ, სადაც საჭიროა, გავლენას ახდენს, პოლიტიკას ქმნის.

ეს არ არის, რასაკვირველია, საფრანგეთის განსაკუთრებული მოვლენა, მას ადგილი აქვს ორივე კონტინენტზე, ევროპის და ამერიკის ქვეყნებში და ამიტომაც სხვადასხვა ქვეყნების ამგვარ ჯგუფთა გააფრებული მეტოქეობა სპეკულიაციის კორიანტელს აყენებს, რაშიდაც ისრაობა საღი ეკონომიური პოლიტიკა და მომავლის პერსპექტივები.

დაუბრუნდეთ საფრანგეთ რუსეთ შორის მოლაპარაკებას. ჩვენ არ გვინდა ისე ვიქნეთ გაგებული, თითქო მხოლოდ ხსენებული ჯგუფის გავლენას უნდა მიეწეროს ამ საქმის შემობრუნება; ცხადია რომ აქ თამაშობს როლს სხვა ფაქტორებიც; მხოლოდ დროს შერჩევა, მხარეებს შორის კონტაქტის მოწყობა და პირველ შეხვედრის მოუახრაკება, ეს სავსებით ამ ჯგუფის აქტივში უნდა იქნას ჩაწერილი.

სისწორით უნდა აღინიშნოს, რომ მომენტი ვირტუალურათ არის შერჩეული; დრო ისეთია, თითქოს ხვდება ერთმანეთს საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის უკანასკნელ კვირების ტენდენციები და საბჭოთა რუსეთის გარდაუვალი საჭიროება. თუ ეს მდგომარეობა განანგრძლივდა, ეჭვი არ არის, ხსენებულ ჯგუფის სულის ჩამდგმელთ შრომა ტყუილად არ ჩაუვლით და კარგ მოსავალსაც მოიმკიან. ნუ გვაყვებით წინასწარმეტყველობის გზას, დავიცადოთ, სანამ ახლო მომავალი გვიჩვენებს, თუ როგორ გათავდება აგრე ოსტატურათ მოგვარებული კომბინაცია.

ჩვენთვის უფრო საინტერესოა, შევენოთ მდგომარეობის ფაქტურ მხარეს.

რათ იდგამს მოსკოვი წილზე ფეხს და ეძებს ყოველი საშვალებით პარიზთან დაახლოვებას?

ლიტვინოვის გამოსვლა ქენევაში, როცა მან წარმოუდგინელი აკრობატული ნახტომით ეკონომიური შეტევიდან (დამპინგი) ეკონომიური ზავის (Pacte non agression) შესთავაზა ევროპას, ეს ისეთი სურათია, რომელიც ნათლათ არკვევს საბჭოთა

რუსეთის დღევანდელ სინამდვილეს; ჩვენთვის პირადათ არავითარი ეჭვი არ არის, რომ მოსკოვის ხუთი წლის გეგმა კატასტროფის წინაშე სდგას. სწორეთ მაშინ, როცა ბოლშევიკური პროპაგანდით გაბრუნებული საზოგადოებრივი აზრი, აქ, საზღვარგარეთ და ვინ იცის, იქაც, რუსეთში, ამ გეგმიდან სასწაულს მოელოდა, მთელი უზარმაზარი შენობა ლამის არის დაინგრეს და ავტორებიც მის ნანგრევებს ქვეშ მოყვნენ.

ჩვენ აქ არაფერს ვაქარბებთ. ვისაც ეს არ სჯერა, ჩაუკვირდეს და დააფასოს რუსეთის დღევანდელი ვითარება.

რა ბაზაზეა აშენებული ხუთი წლის გეგმა? რუსეთის ინდუსტრიალიზაცია ინდუსტრიის სამუშაოებით, ე. ი. სახელმწიფო სდებს წარმოებაში აუარებელ თანხას იმ ანგარიშით, რომ წარმოება მას დაუბრუნებს ახალ კაპიტალს, რომელიც კვლავ ამავე ინდუსტრიაში იქნება მოქცეული. ამ წესით 1929 წ. დაიხარჯა 1 მილიარდი 859 მილ. მანეთი; 1930 წელს 3 მილიარდი 975 მილიონი მანეთი. 1931 წლისათვის საჭიროა 5 მილიარდი 500 მილიონი მანეთი (მანეთი 13 ფრანკს უდრის). საბჭოთა რუსეთის ბიუჯეტი ამ იმედებზე იყო დამყარებული: ორი მესამედი მთელი საბიუჯეტო შემოსავლის უნდა მიეცა ინდუსტრიას. ცხოვრებამ არამცთუ არ გაამართლა ეს ანგარიშები, პირ იქით, 1930 წელს შეიქნა აუტანელი პირობები: წარმოებამ ახალ კაპიტალის მოცემის მაგიერ მოითხოვა ახალი ხარჯები, გაძვალტყავებული ხალხი ბეგარის ცუდი გადამხთელი გამოდგა, დარჩა ერთი საშვალეობა—ინფლიაცია, რომელმაც ჩერგონცის ღარებულემა გაამევიდოდა.

მდგომარეობა 1931 წელს გაცალვებით უარესია. შარშანდელი ბიუჯეტი წრეგანდელის მხოლოდ 30 პროცენტს შეადგენს. საიდან აღმოაჩინენ მოსკოვის ჯადოსნები ზედმეტ ათ მილიარდ მანეთს? მართალია, ფინანსთა კომისარი ვარაუდობს ამ რიგათ: 5 მილიარდი მანეთი უნდა მისცეს წარმოების გაფართოვებამ და 3 მილიარდიც ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესებამ. მაგრამ ეს ხომ ენუქას ანდერძია. გადაიკითხეთ «პრავდა»-ს ნომრები და თქვენ დაინახათ, თუ რა მდგომარეობაშია წარმოების ერთიც და მეორე მხარეც: ზოგიერთი ქარხნების პროდუქცია არ აღემატება 30 პროცენტს გეგმით ნავარაუდევისა; ხარისხი კი ნაწარმოები უნუგეშოა.

ასეთია სრულიად გადაუჭარბებელი სურათი ხუთი წლის გეგმის ეკონომიური ვითარების. ამის შემდეგ გვაქვს თუ არა უფლება ვსთქვათ, რომ ეს გეგმა კატასტროფის წინაშე სდგას? გვაქვს თუ არა უფლება ვამტკიცოთ, რომ «მონების ხელით აშენებული პირამიდი (ლ. ბლიუმის სიტყვებია) ქვიშაზე აღმოიპნდა აღმართული»?

დაახ, ჩვენ ეს უფლება გვაქვს. ვინადან ნათლად ვხედავთ, რომ მოსკოვის ეკონომიკა და მასთან ერთად, მანუ დამყარებული რეჟიმი სიკვდილის პირზეა მიმდგარი; ჩვენ ვამტკიცებთ, რომ უკან დახვევა და დაწყებული გრანდიოზული მუშაობის შეჩერება, ამ მუშაობაში ჩათრეული ახალგაზდა კომუნისტთა ლაშქრის დიქტატურის წინააღმდეგ ამხედრება



ეს გზა სტალინის მოჭრილი აქვს, წინ წასვლა საკუთარ საშვალელებით, როცა სახალხო მეურნეობის ძალები ამოწურული და განადგურებულია, ეს მხოლოდ ოცნებაა.

მაშ, რაღა, დარჩა?

ერთადერთი ხსნა კაპიტალიზმის ქვეყნებშია. მხოლოდ «დამპალ» ევროპას შეუძლია იხსნას მდგომარეობა. ეს გზა ნაცადია. განა პირველათ არის, რომ ევროპის და ამერიკის ბურჟუაზია მხსნელათ ევლინება კომუნისტურ სახელაწიფოს? რატომ არის შეუძლებელი, რომ ეს უცნაური ამბავი კვლავ გამეორდეს? და ამ იმედით მოსკოვი ხსნის თავის პოლიტიკის ახალ სეზონს: ამუშავდა აპარატი, იგზავნება მომენტის შესაფერ ინსტრუქციებით ელჩები, მოყავთ მოძრაობაში სპეკულიანტა ჯგუფები და დაცვეთებით მადა გავლიებული მრეწველები. ერთი სიტყვით მაგიდა გაიშალა და იწყება თამაში.

ამ ქამათ, როგორც ვიცით, პარტინორათ საფრანგეთია გამოსული. ფულით მდიდარი და ჯერ კიდევ მოუწველავი ფური—საფრანგეთი დიდ იმედებს უღვიძებს მოსკოვის დიქტატორს. ბერლინი ამოწურულია, მან უკვე გაიღო თავისი ხარკი; 12 მილიარდი ფრანკის მოკლე ვადიანმა სესხმა იმდენათ დატვირთა ბერლინის ბირჟა, რომ იქ 40 პროც. არ ხურდავდება საბჭოთა ვექსილები. ესლა პარიზმა უნდა გაიღოს თავისი ხვედრი მოსკოვის შესაიარაღებლათ. ბოლშევიკები ხომ სამართლიანი ხალხია—თანაწილობის მომხრე!

აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ხელშეკრულობა დაიდო, მოსკოვი წმინდა ვაჭრული თვალსაზრისითაც იგებს: დღეს საფრანგეთის ბაზარზე რუსულ ტყეს ორმაგი საბაჟო ტარიფის გადახდა უხებდა, ხორბოლულობის შემოტანა სრულებით აკრძალულია, ნავთის საქმე მხოლოდ საზღვაო სამინისტროსთან არის მოგვარებული. სამი მთავარი სავალუტო საგანი დიდ შეღავათს მიიღებს. გარეშე ამისა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კრედიტები და მოკლე ვადიანი ვექსილები, ერთი სიტყვით, მოსკოვისათვის პარიზთან ხელშეკრულება, ეს ხსნაა, შესაძლოა დროებით, მარა მაინც ხსნაა.

ჩვენ მხოლოდ ვერ გავიგია, თუ რას მოიგებს საფრანგეთის ეკონომიკა ან მისი პოლიტიკა ასეთი ნაბიჯიდან. ლონდონის და ბერლინის მაგალითები განა ჩვენ წინ არ არის? განა ამ ქვეყნებში მოსკოვთან ხელშეკრულების შემდეგ შენედა ეკონომიური კრიზისი? განა ოდნავათ მაინც შემცირდა უმუშევართა რიცხვი? მაგრამ, ეს ხომ ლოლიკაა და აბა რა ფასი აქვს ესლა ლოლიკას!

ამბობენ, პარიზის ესლანდელ ხაზში პოლიტიკური მოსაზრება სჭარბობს. თუ ეს ასეა, ვბედავთ გამოვსთქვათ ეჭვები, რომ ასეთმა ცდამ სასურველი ნაყოფი გამოიღოს. რამდენათ ჩვენ მოსკოვის ვიცნობთ და ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენ მას ვიცნობთ მთელი სიგრძე სიგანით, ასეთი ცდის უახლოესი შედეგი იქნება მოსკოვისათვის ახალი საშანტაჟო გზის გაკაფვა და მეტი არაფერი.

ჩვენ სრულებით არ გვაკვირვებს, რომ ევროპიელებს უჭირთ რუსეთის სინამდვილის სწორი დაუ-

სება, ჩვენ ისიც გვესმის, რომ ევროპიელის ფსიქოლოგია ვერ წედებას იმ აზიურ ვერაგობა, რომლის კულტი ბოლშევიზმა შექნა. ბოლშევიზმი მართლ სოციალური კრიმინალი კი არ არის, იგი ამავე დროს მასიური ფსიქო-პატოლოგიური მოვლენაა; მის შესწავლას დიდ დროს მოანდომებს მომავალში მეცნიერება. მაგრამ, ერთი რამ ხომ ყველასათვის ცხადია, ვინ არ ხედავს ესლა, რომ ხუთი წლის გეგმა ეს ომისათვის აშკარა მზადებაა? მოსკოვის მთელი წარმოების 75 პროც. მძიმე ინდუსტრიაა. 9 მეათედი იმ მილიარდების, რომელსაც რუსეთში ხარჯავენ, საომარ მასალის დამზადებას უნდება; ყველა ქვეყნის სამხედრო სპეციალისტებმა იციან, რომ სამხედრო ქიმიური დარგი თვალსაჩინოთ არის რუსეთში მოწყობილი; არც ის შეადგენს საიდუმლოებას, რომ მოსკოვის ყავს ორჯერ უფრო ძლიერი მფრინავი ესკადრილია, ვიდრე ყველა ბალტიის სახელმწიფოს რუმინიითურთ ერთად აღებულს. მძიმე ინდუსტრია ე.ი. სამხედრო ინდუსტრია იზრდება წარმოუდგენელი პროპორციით. 1930 წ. ეს პროპორცია 28,10 პროც. გახლდათ. ამ წლის მდგომარეობა კი ევროპაში ნაშოვნ კრედიტებზეა დამოკიდებული. ერთი სიტყვით, ეს იცის ყველამ, ამას ხედავს ევროპის ყველა პასუხისმგებელი სახელმწიფო მოღვაწე და მიუხედავათ ამისა მოსკოვის მიერ ფულების შოვნის მიზნით გადმოსროლილი «Pacte non aggression» სერიოზულ პოლიტიკურ აქტათ სალდება.

პირდაპირ საშიშარია ის საბედისწერო წრე, რომელშიდაც მომწყვედულია მოწინავე კაცობრიობა. აქ საერთო განიარაღებაზეა ლაპარაკი, მაშინ როდესაც მათ თვალწინ და რაც მთავარია მათივე დასამარცხებით დღითი დღე ძლიერდება რუსეთში სისხლის ღვრის საშინელი მანქანა. ჩვეულებრივათ, როგორც რუსები იტყვიან, რუსეთის პრობლემის გათმე ყველაანი ძალებს მეორე ინტერნაციონალის პოლიტიკაზე კიდებენ. ჩვენ სრულებით არა ვართ დანეტერესებული, ხელი დავაფაროთ ევროპის სოციალიზმის შეცდომებს, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს იქნას აღნიშნული, რომ რეალურათ მოსკოვი თავის მილიტარისტულ მიზნების განსახარციელ ბლათ დანშარებას ბურჟუაზიულ კლასებიდან დებულობს. ასეა თუ ისე, ჩვენ ხომ პასუხისმგებლობის განაწილების საკითხი არ გვანეტერესებს; მით უმეტეს, რომ ამ ცუდ საქმეში ყველა წრეები მიიღებენ პასუხის მგებლობის თვინათ წვლილს. სავალალოა ის, რომ იქმნება პირობები, როცა კაცობრიობა მიდის ფატალურათ ახალ კატასტროფისაკენ, ფატალურათ, ვამბობთ, ვინაიდან აბა დამზადებულ თოფ-ხარბანხებით ხომ არ გამოკვებავს სტალინი «ინდუსტრიალიზაციით» დამშეულ ხალხს? დაუჯერებელი რომ დავიჯეროთ და სტალინის მშვიდობიანობაც რომ ვიარწმუნოთ, ხომ ყოფილა და არის ისტორიაში მომენტი, როცა ხარბანხები თვით იწყებენ გრიალს: მოვლენებს თავის ლოლიკა აქვს, ეს უკანასკნელი აღამინათა ლოლიკას არ წაავაგს—ის ულმობელი მანდილოსანია.

ივ. მამბეკერი.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ც ი ფ რ ე ბ ი თ

(ცლა ჩვენი ქვეყნის გრძელვადიანი მემკვიდრეობის მიმოხილვისა)

III.

შევეცადეთ მოკლეთ გავუკეთოთ ჯამი იმას, რაც აქამდე იქცა.

უკანასკნელი სტატისტიკური ცნობით საქართველოს მოსახლეობა, 1929 წელს, უდრიდა 2.718.000 მცხოვრებს ორთავე სქესის (ჩვენს წინა წერილებში ეს მოსახლეობა ნაჩვენებია იყო 1926 წლისთვის= 2.664.494).

კერძოდ ტფილისში მოსახლეობა 1929 წ. ასულა 310.000 სულამდე (1926 წელს კი 294.044 იყო).

ჩვენს დედაქალაქში ეროვნებათა ხვედრითი წონა ამ ქაზად ასეთია:

ქართველები	42,9 პროც.
სომხები	33. „
რუსები	13,9 „
დანაშთენები	10,2 „
<hr/>	
	100 პროც.

ეს ცნობები იმასაც მოწმობენ, რომ ქალაქებში მობინადრე მოსახლეობა თანდათან მატულობს, როგორც ბუნებრივი ზრდის პროცესების მეოხებით, აგრეთვე სოფლის ხარჯზედაც.

ამ უკანასკნელს ზრდაში ქართველთ მდგმას კვლავ პირველი ალაგი უჭირავს. თუ 1926 წელს საქართველოს მოსახლეობის 22,3 პროც. ქალაქად ცხოვრობდა და 77,7 სოფლად, ამ ქაზად ქალაქებში მცხოვრებთა პროცენტი უფრო დიდია; სამაგიეროდ შემცირებულია სოფლელების პროცენტი.

1929 წლისთვის ყველა საქართველოს ქალაქებში ქართველები უკვე უმრავლესობას შეადგენენ, ე. ი. 50 პროცენტზედ გაცილებით მეტს, მაშინ როდესაც 1926 წელს ეს რაოდნობა გამოიხატებოდა 48.25 პროცენტით (მოვარდნებთ მკითხველს, რომ საქართველოს სოფლად მობინადრეთა შორის ქართველობა მაშინ შეადგენდა 72.45 პროც.).

პროფესიების მიხედვით ქალაქებში მობინადრენი ასე ყოფილან დანაწილებულნი 1920 წელს (იხ. სტატ. კრებ. 1904-1921 წ.):

წარმოებათა და დაწებებულებათა რიცხვი:	
მთლად საქართველო	2.219
კერძოდ ქ. ტფილისი	849
მათში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი:	
მთლად საქართველო	50.683
კერძოდ ქ. ტფილისი	19.912

მთლად მომუშავეთა რიცხვში არიან:	
ქართველები	33.358
სომხები	5.831
რუსები	7.686
დანაშთენი ეროვნებ.	3.808
<hr/>	
სულ	50.683

იმ 18.546 მუშა-მოსამსახურის შორის, რომელთა შესახებ ცნობა მოგვეპოვება და რომელნიც ქ. ტფი-

ლისში ცხოვრობენ, დანაწილება ასეთი ყოფილა:

ქართველები	9.544
სომხები	2.834
რუსები	4.365
დანაშთენები	1.803
<hr/>	
სულ	18.546

საქართველოს მუშა-მოსამსახურენი ადგილმდებარეობის მიხედვით, 1020 წელს ასე იყვნენ დანაწილებულნი:

ტფილისი	19.912
ქუთაისი	2.713
ფოთი	1.296
სოხუმი	1.471
რკინის-გზა	15.825
პატარა ქალაქებსა და მზრ-ში	9.466
<hr/>	
სულ	50.683

შრომის დარგების მიხედვით 50.683 მუშა მოსახურე ასე იყვნენ დარიგებულნი:

სოფლად მეურნეობაში	902 მუშა.
საქალაქო და სამადნო მრეწველობაში	49.781 „

ეს უკანასკნელი კატეგორია ჩამბული ყოფილა 15 სხვადასხვა დარგში, როგორიც არის: მრეწველობა, სავაჭრო-სარეწავი, მმართველობა, კულტი, მეცნიერ-ხელოვანი და სხვა...

ასეთი ყოფილა მდგომარეობა 1920 წელს, ე. ი. იმ დროს, როდესაც ჩვენი ერის სტრუქტურა უაღრესად განიცდიდა ცარიზმის დროს დამყარებულ ყოფას და ჯერ-ჯერობით შორს იყო იმ ცვლილებათაგან, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს პირობებს უნდა მოეტანა.

საუბედუროდ ამ ქაზად ხელთ არა გვაქვს იმის ცნობები, თუ როგორ იცვალა მდგომარეობა ბოლშევიკების ოკუპაციის შემდეგ.

კერძოდ მუშების შესახებ მათი პლანები ასეთია: მუშათა რიცხვის ზრდა საქართველოს მრეწველ-ში:

1927-28	12.794	} (ცენზიან მრეწველობაში)
1928-29	17.562	
1929-30	23.006	
1931-32	33.214	
1932-33	43.051	

== (სულ მთელ მრეწველობაში (ცენზიანი და უცენზო) ხუთწლედის დამლევს).

დიდ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს, რომ ჯერ კიდევ არა გვაქვს სწორი აღწერა და დაწვრილებით ჩამოთვლა ადამიანის მუშაობის ყველა იმ დარგების, რომელსაც მისდევს საქართველოს მოსახლეობა.

ამ უნუსიდან გავიგებდით, როგორია ჩვენში შრომის დანაწილება-დიფერენციაციის მსვლელობა, მისი სპეციალიზაცია, და ბოლოს აქედანაც დავინახავდით, როგორია ჩვენი ერის ეკონომიური სტრუქტურა.

კარლ ბუხერი თავის წიგნში «სახალხო მეურნე-

ობის წარმოშობა», მოწმობს, რომ ჯერ კიდევ 1882 წელს გერმანიაში არსებობდა 10.000 დარგი ადამიანის მოღვაწეობის და პროფესიათა სტატისტიკით მათი რიცხვი თანდათან მატულობდა.

ჩვენს დროში ეს სხვადასხვაობა 100.000-ზედაც მივიდა და ყველა ეს შედეგი არის იმ რთულ ეკონომიურ-სოციალურ პირობების, რომელიც აწინდელმა კაპიტალისტურმა ხანამ გამოიწვია და კვლავაც იწვევს.

თუმცა ჩვენი სტატისტიკა და მასთან სხვა დამხმარე მასალები არ იძლევიან საშუალებას შევადაროთ ის ცვლილებანი, რომელიც ჩვენი ერის ეკონომიკაში ხდება და რომლის ერთი მაჩვენებელთაგანი მოსახლეობის სტრუქტურაც იქნებოდა, მაგრამ ექვს გარეშეა, რომ სწორედ უნდა ჩაითვალოს ასეთი დახასიათება ჩვენის ქვეყნისა: საქართველო არის სასოფლო მეურნეობის მხარე, ჩამორჩენილის ტენზიკით და უთვალავის შესაძლებლობით ამ დარგში; მეორეს მხრის მისი მრეწველობა უფრო ხელისნური ხასიათისაა, სამთომადნო წარმოება კი ოდნავ დაწყებულ კვლევადამუშავების პერიოდში მყოფი (პროფ. ტიმოფევი და სხვა მკვლევარნი). ამგვ დროს, საქართველოს ბუნება, იმისი მხნე მოსახლეობა, სასოფლო მეურნეობაში რთულ დარგების უხსოვარ დროდან არსებობა, სამთომადნო ბუნებრივი სიმდიდრე, — ყველა ეს ბედნიერ პირობებს აძლევს ამ მხარეს, რომელსაც თვისი სამყოფი ყველაფერი შინვე მოსდის. თუ არის წლები, როდესაც საქართველოს ზოგიერთ ნაწილებს, უფრო კი დიდ ქალაქებს, არ ყოფნით პურეულის წლის მოსავალი, ეს გამოწვეულია ისეთ ღრმა ეკონომიურ მიზეზებით, რომელთა გავლენა, 70-80 იან წლებიდან დაწყებული, განიცადეს ევროპის ყველა აგრარულმა ქვეყნებმა; და თუ ამ საყოველთაო მიზეზებით გამოწვეული კრიზისი, რომლის გავლენა საქართველოში დღესაც გრძელდება, არ იყო ჩვენში დაძლეული ამის მიზეზი არის ის უკუღმართი კოლონიალური პოლიტიკა რუსეთის მთავრობისა, რომელსაც იგი შეუჩერებლად აწარმოებდა ჩვენს ქვეყანაში.

მიზეზი იყო ცუდი მთავრობა და არა მოსახლეობაში უნარის უქონლობა; ცუდი მართველობა და არა საქართველოს ბუნებრივი პირობები...

სწორედ ეს გარემოებაა ღირსშესანიშნავი: ჩვეულებრივად პურეულის მოსავალი ჩვენი სავსებით ყოფნის ჩვენ სოფლის მოსახლეობას. თუ აკლდება ვისმე—ეს ქალაქებს! სხვაფრივ რომ ვსთქვათ, სოფლის მეურნეს მხოლოდ იმდენი მოყავს, რაც მისთვისაა სამყოფი. ამ ფაქტში დიდი მოფიქრება და ანგარიში გამოსჩანს ჩვენებურ პურის მოყვანისა. უცხოეთიდან უფრო იაფი პურეულის შემოქრა კონკურენციას უჩალებს შინაურს მოსავალს, მხოლოდ იქ, სადაც რკინის გზებია გაყვანილი, სადაც, მაშასადამე, იაფი და სწრაფი ტრანსპორტი, ხელისნური სტარტიფო პოლიტიკა რუსეთის მთავრობისა და სხვა ამისთანა ზომები—უკან აყენებენ საქართველოს სასოფლო მეურნეობას. რკინიგზები ჩვენი ქვეყნის სხვა პუნქტებშიც რომ ყოფილიყო დამართული და სოფლებიც შეერთებული ყოფილიყვნენ ამ გზებით, იაფი

უცხოელი პური იქაც შეიჭრებოდა და ჩვენი სოფლის მეურნე უფრო კიდევ მეტად შეამცირებდა იმ მიწების ფართობს, სადაც დღეს პურეული ითესება. ეს დიდი ბედნიერება იქნებოდა ჩვენი ურ ეროვნულ ეკონომიკისათვის, რადგან სწორედ ის გზები შექმნიდნენ ჩვენი მძლავრ პირობებს, როდესაც რადიკალურად შეიცვლებოდა საქართველოს სასოფლო მეურნეობის სისტემა და უფრო მომგებიანი გახდებოდა იგი, ვიდრე ეს დღეს არის. ეს კი მით უფრო იქნებოდა სახირო, რომ, როგორც სკანდინავიის ქვეყნების მაგალითიდან დავინახეთ, სოფლის მეურნე და ბოლოს კვლავ შეუდგებოდა პურეულის მოყვანას, მხოლოდ იმ შედეგით, რომ ნაკლებ სივრცეზედ მოსული პური უფრო დიდ-მოსავლიანი იქნებოდა, ეს გადიდებული მოსავალი სავსებით სამყოფი გახდებოდა საქართველოს მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

გზების გაყვანას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებისთვის...

ენახოთ რა ღირებულობა შეუქმნია ქართველ ერს. როდესაც არ არსებობს წლითის წლობით დაგროვილი მასალა, რომელიც ამგვარ კითხვებს იძიებს, ძნელია უტყუარად იმის აღრიცხვა, თუ რა შეუქნია ამა თუ იმ ხალხს. თვით კითხვა კი, თავისთავად, იმდონდაა საყურადღებო, მისი ახსნა აუცილებელი, რომ უნდა მაინც შეეცადოთ მიუდგეთ როგორმე ამ ბნელი ამოცანის გამოცნობას.

დღევანდელი საქართველოს გამგებელი ასეთ ცნობებს გვაწოდებენ (იხ. ფ. მახარაძის მოხსენება საქარ. კომპარტიის მე-6 ყრილობაზე):

პროდუქციის ღირებულობა 1927-28 წ.
1) სოფლის მეურნეობის 268.010.600 მან.
2) ცენზიანი მრეწვ., ელექტრო-ფიკ. და წვრილი მრეწველობის 116.804.300 მან.
სულ 384.814.900 მან.

ეს ციფრი რომ სწორიც იყოს, შეუძლებელია მას დაემყაროს ადამიანი, რადგან პროდუქცია გამომანგარიშებულია საბჭოთა რუსეთის მანეთზე და ამ უკანასკნელის ნამდვილი ღირებულობა კი თვით ბოლშევიკებისთვისაა ბნელით მოცული.

სასოფლო მეურნეობის პროდუქციის შეფასებას შეეცადა დ. აფხაზი. მან ისარგებლა ომამდე გამოქვეყნებულ ოფიციალური ცნობები და მას თვისი ანგარიშიც დაუმატა. ეს გამომანგარიშება ოქროს მანეთებშია მოცემული და ამ მხრივ არის იგი საინტერესო. თავის წიგნში «Les richesses naturelles de la Géorgie, ბ-ნი აფხაზი ასეთ ნუსხას იძლევა:

წყარო შემოსავლისა ღირებულობა
ოქროს მანეთებით.
1) სამთო-მადნო მრეწველობა 12.160.000 მან.
2) ტყის ინდუსტრია 9.000.000 „
3) მიწის ნაწარმოები 124.540.000 „
4) მეთევზეობა და ნადირობა 5.000.000 „
სულ 150.700.000 მან.

ამ ჯამით განიზომება იმ ნედლი მასალის ღირებულობა, რომელიც ჩვენ ერს დაუგროვებია 1913 წ.



ერთი ნაწილი ამ ნედლი მასალის ჩვენ ერს გადაუმუშავებია შინვე, ქარხნებ-სახელოსნოებში და, ხედმეტად, ახალი ღირებულებანი მიუღია.

იმ დროინდელი ადმინისტრაციის სტატისტიკის რწმუნებით, 1915 წელს ნედლი მასალის გადამუშავება წდებოდა 2.834 ქარხნებში, სადაც მუშაობდა 9.640 მუშა და იქ გადამუშავებულ პროდუქციის ღირებულება იყო 12.790.000 მანეთი.

თავის თავად ცხადია, რომ ეს ადმინისტრაციული მეთოდებით მიღებული ჯამი მისაღები არაა და იგი გაცილებით ნაკლებია ნამდვილზე.

მანამ სხვა სწორი წყაროები გამოჩნდებოდენ, მართლის გამოსაცნობათ მკვლევარი იძულებული ხდება მიმართოს, ასე ვსთქვათ, მიხვეულ-მოხვეულ გზას და ეცადოს ამ საშუალებით მიუდგეს პროდუქციის ისეთს შეფასებას, რომელიც უფრო ახლო იქნება სინამდვილესთან.

დ. აფხაზი ამნაირს გზას მიმართავს.

1910 1912 წლების ცნობებით, ამბობს იგი, ევროპიულ რუსეთში, სოფლის მეურნეობის და ნედლი

მასალის ნაწარმოების ღირებულება უდრიდა 55 პროც., მთელი ეროვნული შემოსავლისას; ამნაირად მრეწველობის პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 45 პროც. ამ მასტაბის საქართველოზე გავრცელებით ჩვენებურ მრეწველობის პროდუქციას დ. აფხაზი აფასებს 123.300 000 ოქროს მანეთად. და მთელი ეროვნული პროდუქციის ღირებულება კი ამ შემთხვევაში, უდრის 274.000.000 ოქროს მანეთს (150.700.000 + 123.300.000).

ადვილად წარმოსადგენია ის მძიმე პირობები და მდგომარეობა, რომელშიაც ჩაყენებული იყო პატივცემული მკვლევარი.

საზოგადოთ, ერთბა დნელია ეროვნული შემოსავლის სწორედ შეფასება და არც თვით ბ. აფხაზს მიაჩნია ასეთად მექანიკურად გამოყვანილ ანგარიშის სისწორე, მაგრამ ჩვენს პირობებში მყოფი მძიმე ელემენტი, სიმართლის გასაგებათ, იძულებული ხდება «მიხვეულ» გზებსაც მიმართოს ხოლმე...

—ლი—გ.

(დასასრული იქნება)

გ რ ს კ მ ვ ი წ ი ნ ე თ დ ა მ ხ ლ ა

VII.

როგორც ზევით დავინახეთ, პეტრე დიდმა ყმური მდგომარეობა კიდევ უფრო განამტკიცა. რუსეთის არისტოკრატია ანნა იოანოვნას დროს (1730 წ.), რომელიც მან თვითონ მოიწვია მეფეთ, შეეცადა კერძოთ თავისი წოდების ყმური მდგომარეობიდან განთავისუფლებას. «კონდიციებზე» უკვე ხელი მოწერილი იყო. რომელიც ძლიერ ზღუდავდა თვითმპყრობელობას არისტოკრატის სასარგებლოთ. მაგრამ მდგომარეობა უცებ შეიცვალა. ახნაურობამ არისტოკრატის წინააღმდეგ გაილაშქრა და თვითმპყრობელობის სრული აღდგენა მოითხოვა. ანნა იოანოვნამ ეს ისარგებლა და ავტორებს «კონდიცია» თავზე გადაახია.

ამგვართ, შვეციის წოდებრივი პარლამენტის მაგიერ, რომლის შემოღებაც არისტოკრატის უნდოდა და რომელსაც «კონსტიტუციის ჩიტი» თითქოს ხელში ეჭირა, აღდგენილი იქნა უკიდურესი დესპოტიზმი, ბირონის დიქტატურის სახით, რომელიც ძლიერ გავს ივანე მრისხანისა და ბოლშევიკების დიქტატურას. მაშინაც ამბობდენ: «უარეს დროს რუსეთი არ შესწრებიაო». ანნა იოანოვნას მიტავიდან თან მოჰყვა გერმანელების დიდი ხროვა; რომლებიც ფაქტიურათ მართავდენ რუსეთს. ყველაფერს განაგებდენ ბირონი, მინინი და ოსტერმანი. მათ იცოდენ, რომ ძალა-უფლება შემთხვევით ჩაუვარდათ ხელში და საზოგადოების თანამგრძნობა არ იყო მათ მხარეზე. ამიტომ ერთად ერთი საშვალეობა, რომლითაც მათ შეეძლოთ ქვეყნის მართვა, იყო ძალმომრეობაზე დამყარებული რეპრესიები. «დადგა შავი დღეები, ხალხი ცხარე ცრემლებით სტიროდა და გოდებდა, ამუშავდა «საიდუმლო მძებარი კანცელიარია». სიკვდილით დასჯითა და ციხეებით გაანადგურეს ყველაზე უფრო გავლენიანი გვარები გო-

ლიცინების და დოლგოპუკოვებისა. დაბნელება შეიქნა ყველაზე უფრო წამახალისებელ სამსახურათ სახელმწიფოში; წამებითა და გამცემლობით იცავდენ მთავრობის ავტორიტეტს. ყოველივე, რაც კი ეჩვენებოდათ საშიშოთა და უხერხულათ, იღვენებოდა საზოგადოებიდან. აქედან გამონაკლის არც ეპისკოპოზები წარმოადგენდენ, მათაც სდევნიდენ, ერთი მღვდელი პალოფი დააცვეს და ისე აწამეს. გადასახლებაში მიიღო მასიური და მძაფრი ხასიათი. გადასახლებულთა საერთო რიცხვი ციმბირში უდრიდა 20000, ამთგან 5.600 იყო ისეთი, რომლის შესახებ არაფერი იცოდენ. ხშირად ასახლებდენ სხვისა გვარით და მათ შესახებ არ იცოდა რა თვით «საიდუმლო კანცელიარიაში», კაცი იკარგებოდა უნიშნულად.

ამავე დროს სახალხო მეურნეობა აიწეწა; ვაჭრობა აღებმიცემობა დაეცა, ყანების დიდი უმეტესობა წლობით არ ითესებოდა, საზღვრებთან ახლოს მყოფი მცხოვრებნი, ბირონის დიქტატურით შევიწროებულნი, გარბოდენ უცხოეთში და მთელი ეს ადგილები ომისაგან აოხრებულ ქვეყანას გავდა. ყველა ამის გამო ხაზინის შემოსავალმა დიდათ იკლო, ხალხზე დიდძალი «ნედლიმკები» ირიცხებოდა. და რომ აეკრიფა იგი, ბირონმა დაგზავნა დამსჯელი ექსპედიციები; რომლებიც უვარგის ოლქის მართველობას ბორკილებში სუვდავდენ, მემამულებსა და მამასახლისებს ციხეში მიმშლილით სტანჯავდენ, გლახენს «როზგავდენ» და უყიდდენ ყველაფერს, რაც კი გააჩნდათ. ერთი სიტყვით განმეორდა თათართა შემოსევა. მხოლოდ ესლა ეს შემოსევა მოხდა სამშობლოს სატახტო ქალაქიდან. ამას დავმატა მოუხველობა, სახადი ავადმყოფობათა გავრცელება და მთელი ქვეყანა გლავამ და ზარმა მოიცვა. ხალხში ლაპარაკობდენ: ბირონმა და მინინმა დიდი ძალა ჩა-



იგდეს ხელში და ყველაფერი უცხოელების წყალობით გვექირსო და მთელი ეს საშინელება გაგრძელდა 10 წელზე მეტი». (კლიუჩევსკი: იქვე გვ. 380).

აი მე-18-ე საუკუნის რუსეთის ძველი სარკე, რომელიც ძლიერ გავს დღევანდელ ბოლშევიკურ რუსეთს. ბოლოს, როგორც იქნა, გვარდიამ რუსეთი ბირონის დაქტატურისა და «გერმანელების მთაწობისაგან» განათავისუფლა და ტახტზე პეტრე დიდის ქალიშვილი ელისაბედი დასვა. მაგრამ მდგომარეობა ამით დიდათ არ შეცვლილა. ფაქტიურათ ქვეყანას დიდხანს კიდევ იგივე რუსტერმანი მართავდა, ხოლო ელისაბედი თავის საყვარლებზე და ჩულქებზე მელს ფიქრობდა, ვინემ ხალხის კეთილდღეობაზე. მისი სიყვდილის შემდეგ კი იმავე გვარდიამ ეკატერინე მეორეს სახით გერმანელი ქალი აიყვანა ტახტზე, რომელმაც რუსეთის ისტორიაში დიდი იმპერატორის სახელი დამსახურა.

ეკატერინე უეჭველათ ჭკვიანი ქალი იყო და მასთან განათლებულიც. კარგათ იცნობდა «განათლების ხანის» ლიტერატურას, იზიარებდა დიდრას, მონტესკიოს, რუსოს, მამლისა და ვოლტერის იდეებს და ზოგიერთ მათგანთან მიწერ-მოწერაც ქონდა და სახელმწიფო პრაქტიკულ საკითხებში მათგან რჩევას იღებდა. მიუხედავად ყველა ამისა, ევროპიელმა ეკატერინემ აღმოსავლეთურ რუსეთს თავზე ვერ გადააბიჯა და ბოლოსდაბოლოს თვით მან შეითვისა მოსკოვური სახელმწიფოებრივი მეთოდი.

ეკატერინე მეორემ პეტრე დიდის პოლიტიკა გააგრძელა, — იმპერიის ფარგლების გაფართოვება. და რუსეთის ხალხის გავეროპილება პირველი შესძლო და მეორე ვერა. საზღვრების გაფართოვებამ შეიწირა ხალხის კეთილდღეობა და მასთან ერთად გავეროპილებაც. საყურადღებოა ის, რომ ვოლტერის თაყვანისმცემელმა ბატონ-ყმობა კიდევ უფრო გააფართოვა და გაარღმავა, ვინემ მის წინეთ იყო.

მართალია მან თავად-აზნაურობას, რომელიც ერის I პროცენტს შეადგენდა, წოდებრივი პრივილეგიები მიანიჭა, მაგრამ სამაგიეროთ, გლეხობის მდგომარეობა, რომელიც ერის 95 პროცენტს შეადგენდა, გაცილებით გააუარესა. პირველყოვლისა ბატონ-ყმობის ინსტიტუტი შემოიღეს უკრაინაში, რომელიც წინათ იქ არ არსებობდა და გარდა ამისა 800.000 სახანინო გლეხი დაუბრუნა კერძო პირთ. სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან განთავისუფლებული თავდაზნაურობა გლეხობას კიდევ უფრო მძიმე ტვირთად დააწვა კისერზე. თავად-აზნაურობამ სამხედრო «მუნდირი» გაიხადა და შინაგან საქმეთა სამინისტროს «მუნდირი» ჩაიცვა. იგი სოფელში მეურნეობას კი არ ეწეოდა, აგრონომი კი არ იყო, არამედ პოლიციელი, რომელიც მიწის კერძთ საკუთრების საშვალდებით გლეხობის უსასღვრო ექსპლოატაციას ეწეოდა. ერთი სიტყვით ასრულებდა იმავე როლს, როგორსაც დღეს კომუნისტები და «მუშათა ბრიგადები» ასრულებენ სოფელში. «ბატონ-ყმური უფლება, სწერს კლიუჩევსკი, ეკატერინე II დროს მერყევე ფაქტიდან, რომელიც გამოწვეული იყო სახელმწიფოს დროებითი საქირაობიდან, ოფიცია-

ლურათ დაქანონდა, რომლის გამართლებაც სახელმწიფოებრივი მოსახრებით არ შეიძლება. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ეკატერინეს დროიდან რუსეთის მთელი შინაური ისტორია, გადაიქცა ბატონ-ყმობის უფლების ისტორიით, ვინაიდან მთელი ცხოვრება პოლიტიკურ ეკონომიური და ზნეობრივიც, მჭიდროთ იყო დაკავშირებული ბატონ-ყმო ბასთან». (კლიუჩევსკი ტ. 5. გვ. 59).

ეკატერინეს დროს მოხდა პუგაჩოვის აჯანყება იმავე ლოზუნგით, როგორც რაზინის და ჩაპრეს იმავე მეთოდით.

მოკლეთ, რუსეთმა გავეროპილების მთავარი ფაქტორი— მოქალაქის და ადამიანის უფლება, ვერ მოიპოვა. ყმური ურთიერთობა რუსეთში არ მთისპო, პირიქით, ეკატერინემ იგი უფრო გაამძაფრა და გააღრმავა. იგივე ემართებათ დღეს ბოლშევიკებს. რევოლიუცია დაიწყო თავისუფლებისათვის ლენინმა და მისმა მემკვიდრეებმა კი დაამყარეს უკიდურესი ტირანია და ყმური ურთიერთობა სახელმწიფოსა და ქვეშევრდომთა შორის, სოფელსა და მთავრობას შორის.

ასეთია მოკლეთ მე-16, 17 და 18 საუკუნის რუსეთის ისტორიის მთავარი დამახასიათებელი ფაქტები, რომელიც ნათლათ გვიჩვენებენ, თუ როგორი გზით ვითარდებოდა რუსეთის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრება. ამ გზიდან მას არც მე-19-ე საუკ. გადაუხვევია. ახალ გზაზე ვერ შეაყენა რუსეთი ვერც რევოლიუციამ, თუმცა მიზანი სწორეთ ეს იყო, და ბოლშევიკებშიც თავისი მიზნის განსახორციელებლათ იმავე შარა-გზით მიდიან, რომელიც თვითმპყრობელობას ქონდა. ამიტომ მე აქ არ შეუდგები ამ ხანის დაწვრილებით განხილვას. შეგჩერდები მხოლოდ სარწმუნოებისა და პიროვნების თავისუფლების საკითხზე, რომელიც ასე აღელვებს ამ ქაშათ მთელი ქვეყნის მოწინავე საზოგადოებრივ აზრს და რომელსაც ბოლშევიკების პოქმელება ვერ აუხსნია. მკითხველი აქაც დაინახავს, რომ ის, რასაც ამ ხანით ბოლშევიკები დღეს სჩადიან, ლოლიკური განვითარება არის იმის, რაც წინეთ ხებოდა.

აქი.

2 6 მ ა ი ს ი

პ ა რ ი ზ შ ი .

კიდევ ერთხელ მოგვიხდა ემიგრაციაში ყოფნისას—26 მაისი—ამ ეროვნული აღდგომის თარიღის აღნიშვნისათვის—ზეიმი. ქართული კოლონიის გამგეობამ ყოველი იღონა, რომ იგი სათანადოთ მოწყობილი ყოფილიყო. ბანოე ცინცაძის დაუღალავმა მუშაობამ მიზანს მიადწია და საღამო სამაგალითოდ ჩატარდა.

ქართულმა გუნდმა ბ.ნ. ვ. წილოსანის ლოტბარობით ჩინებულად შეასრულა ქართული სიმღერები. ახალგაზნა კომპოზიტორმა, ჩვენმა მეგობარმა, ჩერენინმა საუცხოოდ პიანოზე დაუკრა ვოლონჩელისტთან ერთად მის მიერ დაწერილი და უკვე მუ-

სიკალურ წრეებში კარგად ცნობილი «ქართული რაპსოდია», რომელმაც მსმენელთა შორის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ცნობილმა მომღერალმა ბ. მანანაშვილიმა დაგვატკბო ქართული სიმღერებით და თავის შვილთან ერთად განმეორებისათვის მშვენივრად შეასრულა ნეპოლიტნური სიმღერა. ქ-ნ ხუნწარიასამ თავისი ნაზი ხმით სიამოვნება მოჰფინა ჩვენს გულს ქართული რომანსით.

ამ საღამოსათვის აღსანიშნავია, რომ მას დაესწრო მრავალი უცხო საზოგადოება, რომელიც მეტად კმაყოფილი დარჩა და კონცერტის ყველა მომანიწილე მხურვალე ტაშით დაჯილდოვებულ იქნა. კონცერტის დასასრულს გაიმართა ქართული ცეკვა, რომელსაც მოჰყვა აქაურიც, რაც ყველას სასიამოვნოდ ილიამდე გაგრძელდა.

ოდენკურში.

ოდენკურის ქართული ასოციაცია, შეკრებილი ქ. სომში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის 26 მაისის აღსანიშნავათ, მიესალმება საქ. ეროვნულ მთავრობას და მის სრულფუნქციან წარმომადგენელს ბ-ნ ავ. ჩხენკელს—ენერგიული მოქმედებისათვის საქართველოს ინტერესების დასაცავათ.

ოდენკურის ქართ. საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ქართველი ერთი მათი მეთაურობით მალე გადაიგდებს მონობის უღელს და აღსდგება კვლავ 26 მაისის დროში.

კრება განსაკუთრებულის თბილი გრძნობით მიესალმება და ულოცავს მაისის თვეს მთავრობის თავმჯდომარეს, ერის უსაყვარლეს ბელადს ნოე ყორძანიას და გამოსთქვამს უსაზღვრო აღშფოთებას იმ უხავსი ცილისწამებისათვის, რასაც გაბოროტებული და ზნეობრივად გახრწნილი მტერი მიმართავს. მორალურათ გაკოტრებული და სასიკვდილოთ გამზადებული ბოლშევიზმი ამათ ცდილობს ჩვენი მეთაურისთვის ჩირქის მოცხებას. ჩვენ დრმათ გვწამს, რომ განთავისუფლებული საქართველოს მომავალი წლების 26 მაისობებს კვლავ დაამშვენებს ტფილისში, მისი პრეზიდენტის სპეტაკი, სიმბოლური ქალარა და მისი მგრძნობიარე, სიბრძნით ნაკვეთი სიტყვები კიდევ ბევრჯერ ააძგერებენ ქართველი დემოკრატიის სულსა და გულს. მანამდე კი თავს ვინუგეშებთ პოეტის იმედიანი სიტყვებით:

არა გემართებს სიმძიმელი,
უსარგებლო ცრემლთა დენა,
არ გადავა გარდუვალათ
მომავალი, საქმე ზენა!

ბ რ ა დ ა შ ი.

წელს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის წლის თავი აქ ჩატარდა მრავალრიცხოვანი სტუმრების თანდასწრებით განსაკუთრებული ზეიმით. დღესასწაულის მომწყობლებმა ამით კიდევ ერთხელ უპასუხეს ჩვენს მტრებს ათი წლის თავზე საქართველოს დაპყრობისა, რომ სანამ ერთი თავისუფალი ქართველი არსებობს, საქართველოს საკითხი არ მოიშლება საერთაშორისო სამსჯავროდან და სიმპატია მისდამი გაუნელებელი იქნება.

24 მაისის №-ში გაზეთი «ბრავო ლიდუ» (ცენტრ-ორგანო ჩხოსლ. სოც. დემ. პარტიის) სხვათა შორის სწერდა: «ქართველთ ემიგრანტთა საზოგადოება იდღესასწაულებს ამა წლის 26 მაისს საღამოს რვა საათზე სმიხოვის სახალხო სახლში მე-13 წლის თავს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. ქართველი ხალხის ბრძოლა საქართველოს განთავისუფლებისათვის,—იმ ქვეყნის—რომელიც დაპყრობილ იქნა 1921 წელს საბჭოთა ჯარების მიერ, იწვევს მთელი მოწინავე კაცობრიობის მხურვალე სიმპატიას. პრალაში მცხოვრებ ქართველების დღესასწაულს ესწრება ყოველწლიურადს ბლომათ წარმომადგენლები სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების როგორც ადგილობრივ, ისე ემიგრანტთა წრეებიდან. დღესასწაულს ყოველთვის თავმჯდომარეობს ჩვენი ამხ. ფრ. სოუკუპი, განსაკუთრებით საყვარელი მეგობარი ქართველების და პაპულიარული თვით საქართველოშიც. საქმარისია აღვნიშნოთ, რომ შარშან მომხდარ არალივეგალურ სოც. დემ. ყრილობაზე საქართველოში არჩეულ იქნა ამხ. კაუტსკის, მაკდონალდის და ვანდერველდესთან ერთათ საპატიო თავმჯდომარეთ ამხ. სოუკუპიც, მოუწოდებთ ჩვენს ამხანაგებს დაესწრონ ქართველი ემიგრაციის დღესასწაულს.»

დღესასწაული გაიმართა სწორეთ იმ ზალაში, სადაც რამდენიმე თვის წინათ გადახდილი იქნა პანაშვიდი დაუვიწყარი ნოე რამიშვილის. ზალა მორთული იყო ნოე ყორძანიას სურათით—ჩასმული ეროვნული დროშებში და ყვავილებში; მის გვერდით იდგასევე მორთული პრეზიდენტ მასარკის ბიუსტი. ზეიმს ესწრება წარმომადგენლები—პოლიტიკური მოღვაწეები—ყურნალისტები—ჩხოსლოვაციის, უკრაინელების, ბელორუსების, სომხების, მთიელების, რუსების (ჩერნოვის მეთაურობით). თავმჯდომარეობენ მორიგეობით სენატის თავმჯდომარე სოუკუპი და სენატორი (ყოფილი განათლების და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი) დაბერმანი. ჩვენი საზოგადოების თავმჯდომარემ არ. ემუხვარმა მშობლიურ ენაზე მიმართა ქართველებს და მოუწოდა მათ იდგნენ დარაჯათ 26 მაისს აღმართული დროშის, რათა პირნათლათ შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა ქართველი ერის და მისი დემოკრატიის წინაშე. მიესალმება სტუმრებს და გამოსთქვამს იმედს, რომ ქართველი ხალხის და მათი მეგობრობა მუდამ შეუწყველი იქნება. საქართველოკი არავის დაუვიწყებს მეგობრობასო. ემ. ლომთათიძე ჩხურათ წარმოსთქვამს სიტყვას. დახატავს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის მოკლე სურათს ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, ქართველი ხალხის ბრძოლის და მისი პერსპექტივების, იმ საშინაო და საგარეო ძალების, რომელსაც მიყავს ჩვენი ქვეყანა განთავისუფლები-საკენ—და უპასუხებს მტრებს, რომლებიც ფიქრობდენ, რომ მათი საქმე მოგებულია. უპასუხებს იმ გულგატეხილ მეგობრებს, რომლებიც დაეჟვდნენ ჩვენს გამარჯვებაში ხანგრძლივი ოკუპაციის გავლენის ქვეშ. ბრძოლა შეუპოვარი, შეურიგებელი შეუწყვეტელი ბრძოლა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო უფლებრივი მდგომარეობის შესანარჩუნებლათ



დამფუძნებელ კრებისგან გამოსული ეროვნული მთავრობის ერის ბელადის ნ. ყორღანის მეთაურობით და ბევრი სხვა ცნობილი ფაქტორები სრულ იმედს გვაძლევს, რომ ჩვენ ძვირფას სტუმრებს მივესალსებით ახლო მომავალში აი იქ, შორეულ სტუმართმოყვარე, ძველის-ძველ ტფილისში.

ბ. ლაბერძნი (ს. დ. პარტიის პატრიარქი), ძველი მებრძოლი, ხანგრძლივად ემიგრაციაში ნამყოფი ავსტრიის იმპერიის დროს, ადარებს ერთმანეთს ჩეხსლოვაკიის და საქართველოს ბედ-იღბალს: მწარეა სვედრი დამორჩილებული ერის, მისი დამცველი და მასთან დაკავშირებული ემიგრაციის, მაგრამ ასეთივე ტკბილია გამარჯვება და გათავისუფლებული აღორძინებული ერის ნახვა. ამას კი თქვენ ისე მოესწრებით, როგორც მოვესწართ ჩვენ.

სიტყვას ამბობს სენატის თავმჯდომარე სოუკუპი. მისი სიტყვა ჩვენს კრებებზე ეს ხომ ყოველთვის აპოთეოზია საქართველოს მიმართ. ის ხაზს უსვამს ჩვენ თავდადებულ ბრძოლას, არავეთარი ეჭვი არ აქვს ჩვენი გამარჯვების—კავკასიის კონფედერაცია, თავისუფალი უკრაინა, რუსეთის დემოკრატიზაცია—პანევროპა—აი საით მივდივართ ჩვენ. ქართველებო—გადახედავს ის ერთ მუჟა ქართველებს—მასპინძლებს,—მრავალრიცხოვან სტუმრებში: არ შეშინდეთ, არ შედრკეთ, ბიჭებო,—მომავალი თქვენიამე თავს ვიხრი თქვენი შეუპოვარი, უკომპრომისო ბრძოლის წინაშე, თქვენ დაჟინებით დგახართ ერთხელ არჩეულ პოზიციაზე. მე გავიცანი ზოგი ქართველები აქ და მათთან შეხვედრა და ამის მოგონება ერთი საუკეთესო ფურცელთანაა იქნება ჩემი სიცოცხლის. შთამომავლობიდან შთამომავლობაში გადავა ეს თქვენი ბრძოლის ამბავი. დღეს ჩვენ ზოგიერთები მოვედით აქ, მაგრამ თქვენთანაა ჩემი მეგობრები, რომლებიც დღეს აქ ვერ მოვიდნენ, თქვენთანა ვართ ჩვენ ყველანი. თქვენ ყოველ წელიწადს უგზავნით მილოცვას და მიესალმებით ჩვენ დიდ პრეზიდენტ მასარიკს, ასეთსავე საღამს ვუგზავნით ჩვენ თქვენს პრეზიდენტ ნ. ყორღანის, თქვენ ბელადს.

შემდეგ გამორიან მთელი რიგი ორატორების სხვადასხვა პარტიების და ორგანიზაციების ემიგრანტთა წრეებიდან. თავის სიტყვებში ისინი აცხადებენ სიმპატიას ჩვენი ქვეყნისადმი და გამოსთქვამენ აღფრთოვანებას ქართველი ხალხის ბრძოლისადმი. აღსანიშნავია სიტყვები—უკრაინელი სოც.დემ. ფედნკოს, ჩერნოვის, სომეხი ბადალიანის და სხვ.

საღამოს ათავებს მგრძობიარე სიტყვით სენატორი ლაბერძნი და უკანასკნელათ ამბობს: სოუკუპი—ეს ჩვენი სოუკუპი არის მედროშე ჩვენს პარტიაში. ის გახდა მედროშე სახელმწიფო საქმეებშიც. სოუკუპი ერთგულია თქვენი საქმის, ენდვთ მას, ის არ გიღალატებთ, როგორც არასოდეს არ უღალატნია ჩვენთვის.

დღესასწაული დათავდა ეროვნული ჰიმნით. ისე როგორც დაიწყო ის. უგულითადესი მადლობა ჩვენი საზოგადოების მხრით ეკუთვნის ქ-ნ შჩუროვსკაიას—უკრაინელ ქალს—მუსიკის პროფესორს. მან სრულიათ უსასყიდლოთ იკისრა ქართული ჰიმნის შესრულება და აკომპანიმენტობა.

ელ. ა.

ვ ა რ შ ა ვ ა შ ი.

«კავკასიის ერთა დღესასწაული», ამ სათაურით ვარშავის გაზეთ «გაზეტა პოლსკა»-ს (მთავრობასთან ახლო მდგომი ორგანო) ერთ-ერთი რედაქტორთაგანი (Otmარის ფსევდონიმით) დიდი მეგობარი კავკასიის ხალხთა და განსაკუთრებით საქართველოსი, სადაც გაუტარებია თავისი ყმაწვილობა და საკმაოდ ვასცნობია მის წარსულს, ვრცელ წერილს უძღვნის კავკასიის ერთა დღესასწაულებს—მათ დამოუკიდებლობის წლის თავს. ეგება რა განსაკუთრებული სიმპატიით ოსხთავე ერის (მთიულეთის, საქართველოს, აჭერბეიჯანის და სომხეთის) წარსულ ბრძოლებს—დაბოლოს დამოუკიდებლობის ხანას—სხვათა შორის საქართველოზე ამბობს შემდეგ («გაზეტა პოლსკა» 28 მაისი 31 წ. № 144):

«ამ სტრიქონების დამწერი მოწამე იყო საქართველოს დამოუკიდებლობის მკვდრეთით აღდგომის, რომელიც (საქართველო) 13 წლის უკან 1918 წლის 26 მაისს 125 წლის მოწონის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. ჩრდილოეთთან (ლაპარაკია მთიულეთზე, რედ.) შედარებით მზგავს პირობებში მყოფი, რასაც ზედ ერთგოდა «ოპეკა» დაუპატიჟებელ გერმანელთა ოკუპაციისა-საქართველო უკეთეს მდგომარეობაში იყო.

ათეული საუკუნოები საკუთარი სახელმწიფოებრივი ტრადიციისა, ეთნოგრაფიული შემქმნირებდა. მთელი რიგი გამოწრთობილ პოლიტიკურ მოღვაწეთა, საკმაო ინტელიგენცია, საერთოდ ხალხის კულტურის და ეთიკის მაღალ დონეზე ასელო—ყოველივე ამან ხელი შეუწყო იმას, რომ დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის სამი წლის ისტორია არის სამაგალითო ნიმუში, როგორ უნდა მოეწყოს მკვდრეთით აღმდგარი სახელმწიფო... თუ გყავთ ლოიალური მეზობლები.

და მართლაც ყველა უმძიმესი საკითხები, როგორცაა: ეროვნულ ლაშქრის შექმნა, ადმინისტრაცია, სასამართლო, ფინანსები, დამოკიდებულობა ეროვნულ უმცირესობასთან—იმ პირობებში გადაპრბლ იქნა საოცარის მიღწევებით.

სოციალური მდგომარეობა არ ქმნიდა დაბრკოლებას. საქართველოს ფაქტიურათ არ გაუვლია ფეოდალიზმის და დემოკრატიის შორის ეტაპები. ვგრეთ წოდებული «პროლეტარიატი» თითქმის არ არსებობდა, რადგანაც მრეწველობის მხრით საქართველო სუსტი იყო. ყოველ შემთხვევაში მუშათა კლასი, პატრიოტული გრძობებით თავის სიმალეზე მდგომი, მთავარ დასაყრდნობ ძალათ შეიქნა განახლებულ სახელმწიფოს ხელისუფლებისა.

სახალხო გვარდია, რომელიც შექნა ნეტარსენებულმა ჯუღელმა (დახვრეტილი იქნა ბოლშევიკების მიერ 1924 წლის აჯანყების დროს), იყო, ყოველ შემთხვევაში პირველ წელში, იდეალური სუროვატი საქართველოს მომავალი, ჯერ კიდევ ორგანიზაციულ წყობაში მყოფ, შეიარაღებულ ძალისა.

ბრწყინვალე წოდებამ, რომელიც საქართველოში საკმაო რიცხვს შეადგენდა, გადასცა სახელმწიფოს თავისი საერთო ქონება (რომლის ღირებულება 40 მილიონ ოქროს მანეთს უდრიდა). რაც და-



საყრდნობ წერტილად, დარჩა სახელმწიფოსათვის. ერთი სიტყვით, ახალგაზრდა რესპუბლიკამ, მეგვიდრემ მონარქიისა, რომელსაც ახსოვს ხანა ცეზარისა, პომპეის და მიტრიდატ დიდისა, ჩინებულათ ჩააბარა ცხოვრების გამოცდები.

გმირულ და უსწორო ბრძოლაში მოჰყვა ტლანქ ძალის ქვეშ. მთელ რიგ სისხლიან აჯანყებებით საქართველო მოგვაგონებს, რომ «არ დაღუპულა» («არ დაღუპულა»-ს ავტორი ფრანხილებში სვამს, რადგანაც ამ სიტყვებით იწყება პოლონეთის ჰიმნი), რადგანაც, როგორც ამბობს ბრძენი:

«შეიძლება დაეგვს დიდი ეწი—დაიღუპოს კი უღიწხი».

დღეს, როგორც ყოველწლივ, მივესალმებით ჩვენს მეგობრებს ქართველებს გულიათადი სურვილებით მათი აღორძინების წლის თავზე იმ უძრეკ რწმენით, რომ დაბოლოს გაიმარჯვებს დროთა ბრუნვაში სამართლიანობა».

26 მაისის დღესასწაულის გამო მოთავსებულ იქნა გან. «კუთიერ პორანი» (26 მაისი 31 წ. № 144—მთავრობის თანაგრძობი ორგანო), აგრეთვე სტუდენტთა კავშირის განუთ «აგიციე აკადემიკე» ბ-ნ გ. ნაკაშიძის ვრცელი წერილი სათაურით: «საქართველოს დღე».

შესამჩნევათ ჩამოსხმულმა წერილმა მკითხველ საზოგადოებაში და სხვადასხვა საზოგადოებრივ და კულტურულ წრეებში დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ-ნი ნაკაშიძე საკმაო სამსახურს უწევს წამებულ სამშობლოს საქართველოზე საჯარო ლექციებით, როგორც ქ. ვარშავაში ისე რამოდენიმე სხვა ქალაქებში. უკვე წაიკითხა სამი ლექცია: 1) «საქართველოს ლიტერატურის ისტორიიდან», 2) «საქართველო და ევროპა წარსულში», 3) «ქართველი ქალი», უკანასკნელი პოლონეთის ქალთა კავშირის თხოვნით. აღნიშნული ლექციები რამოდენიმეჯერ იქნა გამეორებული. როგორც ვარშავის, ისე პროვინციის პრესა საუკეთესო რეცენზიებით მიეგება მომხსენებელს.

უცხოეთის მიმოხილვა.

კონსტანტინოპოლისი.

ყენევაში, როცა ჰენდერსონს ირჩევდნ საერთაშორისო განიარაღების კონფერენციის თავმჯდომარედ, დარწმუნებული იყვენ, რომ ტრავაისტების კაბინეტი გასტანდა 1932 წ. 2 თებერვლამდე, თარიღი კონფერენციის გახსნისა. ეხლა გამოდის, რომ ეს ასე არ იქნება. მართალია, კაბინეტი გადაარჩა დაცემას, მაგრამ გარანტიას მაინც ვერ მიეცემთ მკითხველს, რომ ასევე გადაარჩება კვლავ.

მეორე დემოკრატიულ ქვეყანას ვერ ნახავთ დასავლეთში, სადაც უმცირესობის მთავრობას ეცოცხლოს ორი წელი, ხოლო სოციალისტურ მთავრობას ხომ ყველაზე ნაკლები შანსი უნდა ჰქონოდა ამისათვის. მაგრამ ინგლისიც ხომ გამოჩნაკლისია თავი-

სი პარლამენტარული ჯენტლმენობით! კონსერვატორები და ლიბერალები არ დაუფრთხნ მაკდონალდის ხელისუფლებას, გაუხსნეს, თუ გნებავთ, ასპარეზი იმ იმედით, რომ საარჩევნო დაპირებებს ვერ შეასრულებდა და ისე დაეშვებოდა, როგორც ავიდა.

რა იყო მთავარი დაპირება? უმუშევრობის მოსპობა, ნამდვილათ კი ის გაორკეცდა! ცალკე სამინისტროც კი დაარსეს უმუშევრობის, სათავეში ჩაუყენეს პოპულარული მინისტრი თომასი, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ის სხვა უწყებაში უნდა გადასულიყო უნაყოფობის გამო; იმავე მიზეზით ერთი პატარა ჯგუფიც გამოეყო ტრავაისტების ფრაქციას, მოსლეთის მეთაურობით. უმუშევართა დახმარება ჩქარა 100 მილიონ გირვანქა სტერლინგს აცილებს. ბიუჯეტი დეფიციტით თავდება და ახალი გადასახადები მძიმე ტვირთად აწევს ხალხს.

სწორეთ ამ დეფიციტის დასაფარავათ ფინანსთა მინისტრმა სწოულდენმა მოინდომა მიწის ზედმეტ და დაუმსახურებელ ღირებულების დაბეგვრა. ლიბერალები აჯანყდნ ზოგიერთ მუხლის წინამდგ და შეიტანეს შესწორება, რასაც უნდა წაეკცია მთავრობა. მოხდა ვაჭრობა მაკდონალდსა და ლოიდ ჯორჯ შორის, თითქო კიდევ მორიგდენ. მაგრამ რას აკეთებს, მთავარი სენი უმუშევრობა ისევე მძვინვარებს.

ერთი წელიწადია, რაც დაინიშნა სამეფო კომისია, რომელსაც უნდა გამოეძიებია უმუშევართა დახმარების წესი და რაოდენობა. ყოველ მხრიდან სივოედენ, რომ ათი და ასი-ათასები უსამართლოთ იღებენ დახმარებას; ბურჟუაზიული პარტიები იმასაც კი ამტკიცებდენ, რომ ხალხი მიეჩვია სუბსიდიებს და მუშაობაზეც გული აიყარა, არ სურს ერთი დარგიდან მეორეზე გადასვლა. სამუშაოზე უარს ამბობსო. კომისიამ დაამთავრა მუშაობა და აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ჩივილი მართალია; ხდება ბევრი ბოროტმოქმედება და დასკვნა ასი-ათასების სიიდან ამოშლა, დახმარების შემცირება, რადგან მისი რაოდენობა ზოგიერთ სახელმწიფოს მუშის ხელფასსაც კი აღემატება. მაკდონალდის მთავრობამ ითათბირა ტრედ-უნიონების საბჭოსთან და გადასწყვიტა, არ მისცეს მსვლელობა კომისიის დასკვნებს.

აი მეორე კონფლიქტი, რომელიც გაცილებით უფრო სასიფათოა მთავრობისათვის, ვინემ პირველი. აქ თითქოს ლოიდ ჯორჯის დამთმობი ტაქტიკაც ვერას განდება, მას არ გაყვებიან ლიბერალთა ფრაქციის სხვა წევრები და მაშინ ახალი არჩევნები გარდაუვალი ვახდება.

კონსერვატორები მოსკოვისადმი წარმოებულ პოლიტიკასაც ეხსმინან თავს. სხდომა ისე არ ჩივილის თემთა პალატაში, რომ არ შეეკითხონ მთავრობას საბჭოთა ოინებზე. მაკდონალდი და ჰენდერსონი რიხიანათ მიუგებენ, რადგან ლიბერალები ზურგს უკან ეგულვებათ: კომინტერნი სხვაა და საბჭოთა მთავრობა კიდევ სხვა, დემპინგიც მოგონილია, გარარტების არ შეუწყვეტთ მოსკოვთან მოვაჭრე მრეწველებსო.

საერთაშორისო სფეროში ხომ მაკდონალდი და ჰენდერსონი თავგამოდებით ებრძვიან ყოველგვარ კომბინაციას, მიმირთულს მოსკოვის არა ლოია-



ლურ მოქმედების წინამდებ. ევროპა დაყოფილია მოქიშვე სახელმწიფოებად და ეს აძლევს მოსკოვს საშუალებას დღეს ერთ სახელმწიფოს გამოფიცებას რამე, ხვალ მეორეს. შეიძლება ითქვას, საბჭოთა ბარბაროსულ რეჟიმის და იქ მობინადრე ერთა წამების განხარგრძობაში ტრავაისტების მთავრობას მეტი წილი უძევს, ვინემ რომელსამე სხვა მთავრობას.

ვრისისი ვერსიანაში.

გერმანიის მთავრობა ხომ პირველია ამ მხრივ! — შეიძლება შემოგვედაოს მკითხველი —, და ეს მართალი იქნებოდა, ერთი შემამსუბუქებელი გარემოება რომ არ იყოს. გერმანიას უჭირს, საერპარაციო გადასახადი ლამის ჩასძირავს ქვეყანაში და იძულებულია ხან აქეთ ეხეთქოს, ხან იქით. მოსკოვს კი არა, ეშმაკსაც წაებლაუჭება, ოლონდაც რამე გამოდნეს. გერმანია იძულებულია რაც შეიძლება მეტი საქონელი გაიტანოს გარეთ, ამიტომ საბჭოთა კავშირთანაც მას ყველაზე მეტი ვაჭრობა აქვს. ამ ვაჭრობის განსაძლიერებლათ ის კრედიტსაც კი აძლევს მოსკოვს, უკანასკნელათ 300 მილიონი მარკის საქონელი აღუთქვა მას სესხათ და ამას იმით ასაბუთებენ, რომ 100 ათას უმუშევარს სამუშაოს გაუჩენთო.

ხუთი მილიონ უმუშევარს სთვლიან გერმანიაში! თითოზე სამი სული რომ ვიანგარიშოთ ოჯახში, გამოდის 15 მილიონი. და ესაა სწორეთ მიხეწი ნაციონალ-სოციალისტების ანუ პიტლერის პარტიის გაძლიერებისა. კომუნისტებიც ამ გაჭივრებას იყენებენ და თავის რიგებს ამრავლებენ. მაშასადამე, გადატრიალების მოხალისენი მარჯვნით და მარცხნით გერმანიას არ აკლია. 24 სექტემბრის არჩევნებიდან, როცა ასე შეიცვალა სურათი რეისტტაგში, მითქმამოტქმა ამაზე არ შეწყვეტილა.

მაგრამ, რაც დღეს ხთება გერმანიაში, თითქო გადატრიალების ეამის მოახლოვებას მოასწავებს. პატარა ბრძოლები უკვე ხდება მუშათა ცენტრებში, ზოგან ბარიკადებსაც აშენებენ, ბანკებიდან უკვე მილიარდები გახიწნეს უცხოეთში, ერთი სიტყვით, რეაქცია თავს იწევს, შავი თუ წითელი, სულ ერთია, ორივე ემუქრება ნორჩ რესპუბლიკას.

უკანასკნელათ გერმანიის სოციალდემოკრატიამ კიდევ იხსნა მდგომარეობა, ხელი აიღო რეისტტაგის მოწვევაზე და მით ბრიუნინგის მთავრობას სიცოცხლე გაუგრძელა. პატარა მსხვერპლი არაა ეს. ლაიპციგს პარტიეტაზე პარტიის ფორმტანდს და ფრაქციას თავს ესხმოდა ოპოზიცია: ამდენი დათმობა ბურჟუაზიულ მთავრობის მიმართ სახელს გვიტებს მუშათა მასებში, ეს აძლიერებს კომუნისტებს და პიტლერისტებსო — ამბობდა ის. მაგრამ დელეგატთა ცხრა მეთედმა არ გაუგონა ოპოზიციას და მოიწონა პარტიის ხელმძღვანელთა ტაქტიკა. ძალთა დღევანდელი განწყობილების მიხედვით — ამბობდენ ისინი — ბრიუნინგის მთავრობა რომ დაეცეს, ძალა-უფლება მემარჯვენებზე გადავა და რესპუბლიკა საფრესეში ჩავარდებოა.

რესპუბლიკის სახსნელად კი გერმანიის სოციალდემოკრატია ვერ დაიხვეს ვერავითარ მსხვერპლის

წინ. ამის დემონსტრაცია ლაიპციგშივე მოხდა, სადაც 200 ათასამდე ორგანიზაციულად შეკავშირებული მუშა ქუჩაში გამოვიდა დროშებითა და სიმღერით. მაშასადამე, რეაქციონერებს უბრძოლველათ არავინ დაანებებს მოვლანს.

რასაკვირველია, არსებულ კრიზისში ბრიუნინგის მთავრობასაც მიუძღვის ბრალი. შტრენემანი არ არის, მისი მემკვიდრე კურციუსი წინდაუხედავი გამოდგა, კურციუსის წინასწარი ოქმი საგარეო საქმეთა მინისტრ შობერთან გერმანია-ავსტრიის საბაჟო კავშირის შესახებ ბომბასავით გავარდა ევროპაში და ერთობ დაამძიმა საერთაშორისო ატმოსფერო. საფრანგეთმა და მისმა მოკავშირე მცირე ატანტამ გამოწვევად მიიღეს ეს ნაბიჯი: ავსტრიის გერმანიის მიერ გადაყლაპვას ამზადებენო — ცხადებდენ ისინი. ჩაერია ჰენდერსონი და კითხვა ეწენევაში გადაიტანა. აქ ბევრი უსიამოვნება უთხრეს ერთმანეთს ძველმა მტრებმა და ბოლოს გაათავეს იმით, რომ ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს გადასცეს მსჯავრის გამოსატანათ, დარღვია თუ არა ავსტრიამ არბული ხელშეკრულებანი, რომლის ძალით ის ვალდებულია დაიცვას თავის დამოუკიდებლობა და არ შეუერთდეს გერმანიას.

ფრიად საგულისმიერო მოვლენაა: სახელმწიფოს ავალებენ დამოუკიდებლობა შეინახეო! რამდენი ჩაგრული ერი ინატრებს ავსტრიის მდგომარეობას!

გერმანია-ავსტრიის ნახტომმა ის ნაყოფი გამოიღო, რომ ბრიანის მდგომარეობა შეარყია საფრანგეთში და ვერსალის საბრუნდენტო არჩევნებზედ გააშავეს. ამბობენ, და მართალიც უნდა იყოს, რომ გერმანია-ავსტრიის ოქმი ერთგვარი მიწეწია იმ მოლაპარაკებისა, რომელიც გაიმართა საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირის შორის. მოხდება თუ არა შეთანხმება ძნელი გამოსაცნობია, ყოველ შემთხვევაში, საფრანგეთი აფრთხობს გერმანიას, შენს კლიენტს ხელიდან გამოგაცილო.

ამრიგათ, ლუკარნო თითქოს დავიწყებულია, გერმანია-საფრანგეთის დაახლოვებაზე ნაკლებ ლაპარაკობენ და უკვე შიშობენ საერთაშორისო განიარაღების კონფერენციიდან არაფერი გამოვაო.

მაგრამ ყველა ეს იმდენათ არაა საშიში, რამდენათ მოსალოდნელი გადატრიალება გერმანიაში, რაცა სამოქალაქო ომის დაწყებას მოასწავებს, და ამ შემთხვევაში თვით ევროპაც საშიშროებაში ჩავარდება. ამას გრძნობენ ყოველგან. განსაკუთრებით ლონდონსა და ვაშინგტონში, აქედან ბრიუნინგის და კურციუსის მიწვევა ჩეკერში, ინგლისის პრემიერის საგარეო სასახლეში, აქედან შეერთებული შტატების საგარეო და ფინანსთა მინისტრების გამოძგზავრება ევროპაში მდგომარეობის შესასწავლათ. უკვე ლაპარაკობენ იუნგის გეგმის რევიზიაზე და სულ მცირე მორატორიუმის დაწესებას მაინც მოვლიან, რომ გერმანიამ შესძლოს ფესზე დადგომა. კარგია, რომ მას დიდი ფული მართებს ამერიკის, გარდა რეპარაციისა, ჰუფერი უკვე შიშობს ამ ვალსაც და ვკარგავთო და ამიტომ მზათაა ომის ვალები გადასინჯოს.

პ ა ნ ა მ ვ ი დ ე ბ ი .

კვირას ივნისის 14 ბანკის სასაფლაოზე მრავალი საზოგადოების თანადსწრებით გადახდილ იქნა სამოქალაქო პანაშვიდი ნ. რამიშვილის დაღუპვის ექვსი თვის თავზე. განსვენებულის საფლავი მრავალი ცოცხალი ყვავილით იყო შემკული. სიტყვა წარმოსთქვა ს. მენაღარიშვილმა.

კვირას ივნისის 21 პერლაშენის სასაფლაოზე გადახდილი იყო სამოქალაქო პანაშვიდი დამედუძენბელი კრების თავმჯდომარის კარლო ჩხეიძის ხსოვნის პატივსაცემლად, მისი გარდაცვალების ხუთი წლის შესრულების გამო. განსვენებულის საფლავის გარშემო დიდძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. სიტყვა წარმოსთქვა დ. შარაშიძემ.

კვირას ივნისის 28 დილის 11 საათზე St-Ouen-ს სასაფლაოზე (მეტრო Porte Clignancourt) გადახდილი იქნება პანაშვიდი ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად.

ბიზანტიურ ხელოვნების გამოღვნა.

ამ ქამად პარიზში დეკორატიულ ხელოვნებათა მუზეუმის Marsan-ის პავილიონში (ლუვრი) გამართულია ბიზანტიურ ხელოვნების გამოღვნა, რომელიც გაგრძელდება ივლისის 9-დღე. თავმოყრილია დედამიწის ყოველი კუთხიდან ბიზანტიურ ხელოვნების სხვადასხვა დარგის საუცხოო ნიმუშები, რომელთაც აღტაცებასა და განცვიფრებაში მოყვას მნახველები. სხვათა შორის უყურადღებოთ არაა დატოვებული ბიზანტიური ხელოვნების განვითარება საქართველოში. სამწუხაროთ გამოფენაზე არაა ქართული მხატვრული შემოქმედების დედნები, რომლებიც უთუოდ დიდს ყურადღებას მიიქცევდნენ. გამოფენილია მხოლოდ საპატიო ადგილზე ორმოცამდე დიდი ფოტოგრაფია ქართული ხუროთმოძღვრების და მხატვრობის, რომლებიც მიაწოდა გამოფენის მომწყობთ, მათის თხოვნით, ბ. ექ. თაყაიშვილმა, და რომლებიც დიდს შთაბეჭდილებას ახდენენ ხელოვნების მოყვარულებზე. გამოფენის კატალოგში ვრცლად არის აღნიშნული ექთაყაიშვილის დიდი ღვაწლი ქართული ნაშთების შეგროვებისა და შესწავლისათვის.

ქართული წარმოდგენა პარიზში.

ბ-ნ შალვა ნებიერიძის რეჟისორობით ივნისის 4-ს წარმოდგენილ იქნა აკ. წერეთლის «პატარა კახი». წარმოდგენის დაწყებამდე ბ-ნმა ვიკ. ნოზაძემ აღნიშნა სათეატრო ასპარეზზე მუშაობის დაწყების მნიშვნელობა, ხაზი გაუსვა დაბრკოლებათ, სთხოვა საზოგადოებას აქტიური დახმარება და მოიბოდიშა ამ პირველი წარმოდგენისათვის. მაგრამ, სასიხარულოდ, მისი მობოდიშება ზედმეტი აღმოჩნდა, ვინა-

ოდან წარმოდგენა ბრწყინვალედ ჩატარდა ამის შემერმეტყველური საბუთია არა მარტო ის სწორი და ხანგრძლივი ტაში, რომელიც მსახიობთ წილად ხვდათ! თვით მხატვრული და თამაშის თვალსაზრისით პიესა შესრულებულ იქნა თითქმის უნაკლოდ, თუ მხედველობაში სცენის ტექნიკურ ხარვეზებს არ მივიღებთ. «პატარა კახის» ამ შევნიერო თამაშით საზოგადოება მეტად კმაყოფილი დარჩა და მოლოცვები (ოვაციებს გარდა) მეტად მეგობრული და სიყვარულით აღსავსე იყო.

პიესის დასრულების შემდეგ ბ-ნმა ზალოდასტიანიშვილმა და ბადურაშვილმა იმდერეს მშვენივრად ღუშტი.

მთელი ეს საღამო იყო მცირე და გულწრფელი ზეიმი ქართული კულტურისა და იმ სიამოვნებისათვის, რომელიც ჩვენ მივიღეთ მაღლობას ვუძღვნით ბ-ნ შ. ნებიერიძეს, დასის ყველა მონაწილეს და ვუსურვებთ განაგრძონ ეს კარგად დაწყებული საქმე.

«შევარდენი» პარიზში.

პარიზში მყოფ ქართველ ემიგრანტულ ახალგაზდობის ერთი ნაწილი კარგა ხანია რაც ტანთვარჯიშობას ეწევა. ჩვენ თავიდანვე მივესალმეთ ასეთ თაოსნობას და ზედმეტად მიგვაჩნია სპორტის მნიშვნელობის შესახებ ერთი ბჭკარის დაწერაც კი!

ივნისის 19-ს ახალგაზდების სპორტულმა საზოგადოებამ გამართა ვარჯიშობის საღამო, რომელსაც მრავალი საზოგადოება დაესწრო.

«შევარდენის» წევრებმა—ქალების დასმა ცალკე, ვაჟებისამ ცალკე გვიჩვენა თავისი სპორტული მიღწევანი, როგორც თავისუფალ ვარჯიშობაში, ისე ბურთაობაში. მოხდა შეჯიბრება ფრანგულ დასებთან და ამ სავარჯიშო ბრძოლამ ისე გაიტაცა საზოგადოება, რომ არც ერთ მოქიშპე მხარეს ტაში არ დაჰკლებია.

ქართული სპორტის ერთმა ხელმძღვანელთაგანმა ბ-ნ ვ. ბარკალაიამ მოუწოდა ახალგაზდებს ჩაეწერონ «შევარდენ»-ში და ჩვენც მსურვალედ მხარს ვუჭერთ ამ მოწოდებას. ბოლოს ოვაცია გაუშარტეს აქაურ «შევარდენის» თაოსანსა და მომწყობს ნ. შ-ს.

მეტად სასიამოვნო იყო ეს საღამო, და ერთი იმ საბუთთაგანი, რომ ჩვენი ახალგაზდობის ერთი მოზრდილი ნაწილი შეგნებულად ეკიდება ამ საქმეს და ცდილობს გამოაცოცხლოს საქართველოში დაღუპული ქართული «შევარდენი» უცხოეთში. ახალგაზდებო! ჩაეწერეთ «შევარდენ»-ში!

3.

დასაბეჭდი წერილები, ფული და სხვა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r O U R A T A D Z E

10. rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)

France